



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი



საქართველოს ჯანდაცვის
ჯიოვნური ბიბლიოთეკა

უცნობი ავტორი

ცხორებად და
მოქალაქობად
ღირსისა და
მოციქულთა
სწორისა ნეტარისა
ნინოდსი

უცნობი ავტორი

ცხორებად და მოქალაქობად ღირსისა და
მოციქულთა სწორისა ნეტარისა ნინოძისი

ცხორებად და მოქალაქობად ღირსისა და მოციქულთა სწორისა ნეტარისა ნინოდსი

I. მათ ჟამთა შინა, ოდეს იწამა ყოვლად ქებული და დიდებული მთავარ-მოწამე გიორგი კაბადუკიელი, მასვე ჟამსა შინა და მასვე ქალაქსა შინა იყო კაცი ვინმე თანაზიარი და მეგობარი წმიდისა მოწამისაჲ. ესე კაცი იყო კეთილად მორწმუნე და შვილი მდიდართა და წარჩინებულთაჲ. და იყო იგი ძლიერი და წარჩინებული და განთქუმულ ბრძოლათა შინა და წყობათა, რომლისა სახელი ზაბილონ. ესე ზაბილონ წარვიდა ჰრომედ წინაშე მეფისა მაქსიმიანესა მსახურებად და მიღებად პატივისა და ნიჭისა. ხოლო იყო ვინმე კაცი მისვე ქალაქისაჲ კაბადუკიელი, მეცნიე[რი და მო]ყუარე ზაბილონისი. ხოლო აღესრულა რაჲ კაცი იგი და მეუღლე მისი და დაშთეს მათგან ორნი

ქალწულნი. და განყიდეს მონაგები მშობელთა მათთაჲ და წარვიდეს წმიდად ქალაქად იერუსალიმად [და] თაყუანი სცეს განმაცხოველებელსა საფლავსა და შეუვრდეს უფალსა, მზრდელსა მას და მწყალობელსა ობოლთა და ქურივთასა. და მიიწინეს იგინი იერუსალიმად. და დაადგრეს მუნ და მსახურებდეს [ქრისტესა]. ხოლო ყრმაჲ იგი მიიწია რა ჰასაკსა, კეთილად ქცევისა ამისთვის პატივით პატივად აღყვანებულ იქმნა და მიემთხვა პატრიაქობასა. ხოლო დაჲ მისი ჰმსახურებდა წმიდასა აღდგომასა და ჰმორჩილებდა სარა ბეთლემელსა. ხოლო ჰაბუკი იგი ზაბილონ, რომელი ზემო ვაკსენეთ, მიიწია ჰრომედ წინაშე მეფისა, სიმენისა მისისათვის განაწესა იგი მკედართმთავრად ერისა მისისა.

II. ხოლო მას ჟამსა იქმნა განდგომილება ფრანგთა,

ვიდრემდის თვთ მეფისა მიმართ ბრძოლა ყვეს. ხოლო ჰაბუკი იგი ზაბილონ განვიდა ბრძოლად მათდა და შეწევნითა ქრისტესითა სძლო და იოტნა და მთავარი იგი მათი და წარჩინებულნი მისნი შეიპყრნა და წინაშე მეფისა შეკრულნი მიიყვანნა. ხოლო მეფემან პატივი და ნიჭი წინა უყო ზაბილონს. ხოლო განდგომილთა მათთვის მთავართა განაჩინა

სიკუდილი. მაშინ იწყეს მათ ტირილად და ევედრებოდეს ზაბილონს და ეტყოდეს: “შეგვყვანენ ჩვენ ტამარსა ღმრთისა შენისასა და ნათელ გუეც სახელსა ზედა მისსა, რომელმან შენ ესევეითარი ძლევად მოგანიჭა, და ესრეთ რად მოვისრნეთ, შენ უბრალო იყო სისხლთა ჩუენთაგან”. ხოლო მან აუწყა ესე პატრიაქსა ჰრომისასა და პაპასა. ხოლო მან შეიწყნარა სიხარულით და ნათელსცა და აზიარნა საიდუმლოთა ქრისტესთა და თაყუანი სცეს მათ თავთა წმიდათა მოციქულთა. და ხვალისა დღე მზისა აღმოსლვასა მყუდროდ განვიდეს ადგილსა სასიკუდიინესა და სიხარულით მოელოდეს სიკუდილსა. ხოლო ზაბილონ ხედვიდა რად მათ, აღიძრა გონებითა და ტიროდა ფრიად და შევიდა წინაშე მეფისა და მოითხოვნა იგინი. ხოლო მეფემან მიჰმადლნა იგინი და ჰრქუა: «მომინიჭებიან იგი[ნი] შენდა და რაცა გნებავს, უყავ მათ”. მაშინ ზაბილონ განუტევნა იგინი წარსლვად ქუეყანად მათდა და ამცნებდა, რათა არა ოდეს იკადრონ განდგომილებად, ხოლო იგინი აღუთქუმიდეს და ეტყოდეს, რათა წარჰყვეს მათ. ხოლო მან ისმინა ვედრებად მათი და ითხოვნა პაპადსაგან მღდელნი და წარიტანნა თანა და წარჰყვა.

III. და ვითარცა მიეახლნეს ქუეყანასა მათსა და ეუწყა, ვითარმედ მთავარნი მათნი ცოცხლებით მოვლენ ყოველნი, რომელნი იყვნეს ქუეყანასა მას, ყოველნი მოეგებნეს წინა მდინარესა მას ზედა ლადამარასა და სიხარულით მოიკითხნეს იგინი და ევედრებოდეს ზაბილონს, რათა ნათელ-სცეს მათ ყოველთა. ხოლო მღდელთა მათ აკურთხეს წყალი და ნათელ-სცეს, და იქმნა სიხარული დიდი მას დღესა შინა. ხოლო ზაბილონ დაუტევნა მღდელნი იგი მათ თანა, რათა ასწაონ მათ სჯული და წესი, და იგი წარვიდა ჰრომედ დიდითა ნიჭითა განმდიდრებული.

IV. ამისა შემდგომად განიზრახა გულსა თვსსა, რათა წარვიდეს იერუსალიმს და თაყუანი სცეს წმიდათა მათ ადგილთა, და საფასე იგი, რომელ აღიხუნა, რათა განუყოს მუნ გლახაკთა. და ვითარცა მიიწია იგი იერუსალიმს და თაყუანი სცა წმიდასა აღდგომასა, იხილა ყრმად იგი, რომელი წარმოსრულ იყო ქალაქით კაზადუკით და პატრიაქ ქმნილ იყო იგი იერუსალიმს, იცნა იგი და მოიკითხნეს ურთიერთას. დღესა ერთსა

ჰრქუა სარა ბეთლემელმან პატრიაქსა, რათა მისცეს დაჲ მისი ცოლად ზაბილონს. და პატრიაქმან ისმინა სარაჲსი და შეჰრთო დაჲ იგი მისი ზაბილონს. ხოლო მან წარიყვანა მამულად თჳსად კაზადუკიად, რომელთაგან იშვა მხოლოდ ღირსი და ყოვლად ნეტარი ნინო, ხეთაგან კეთილთა ნაყოფი კეთილი და სათნოდ ღმრთისაჲ.

V. და ვითარცა იქმნა იგი ათორმეტისა წლისა, შეითქუნეს მშობელნი მისნი და განყიდეს ყოველი მონაგები მათი და წარვიდეს იერუსალიმად მხოლოდ ასულისა მათისა თანა, და მუნ განუყვეს ყოველი სიმდიდრე მათი. ხოლო ზაბილონ დაიწერა პატრიაქისაგან ჯუარი და შეიტკბო ასული იგი თჳსი, და სახედ წჳმისა დამოადინნა ცრემლნი და იჴმნა მეუღლისაგან, და ასული იგი შეჰვედრა ღმერთსა და დალოცა იგი და მისცა უკუანაჲსკნელი ამბორის ყოფაჲ და, ყოვლითურთ ჯმნილმან სოფლისაგან, აღიღო შური ელიაჲსი და იოვანწსი და განვლო იორდანე და არღარავინ უწყის კაცთაგანმან აქამომდე, გარნა ღმერთმან მხოლომან.

VI. მაშინ პატრიაქმან დაჲ მისი სოსანა მისცა მსახურად დედათა უძღურთა, ვითარცა იგი თჳთ ინება მან, და ესრეთ აღესრულა სათნოდ უფლისა. ხოლო [ი]გ[ი] მორჩილი ღმრთისა, ნეტარი ნინო, შეჰვედრა ღმრთის მოშიშსა დედაკაცსა სარას, რომელი მსახურებდა წმიდასა აღდგომასა, და მის თანა იყოფოდა ღირსი ესე ნინო. და მარადის სწავლიდა იგი საღმრთოსა სჯულსა, რამეთუ მეცნიერ იყო იგი ყოველსავე განგებულებასა ქრისტწსსა: ხარებასა და ნათლის ღებასა, ჯუარცუმასა და აღდგომასა, და სუდრისათჳს და ტილოთა, და ჯუარისათჳს და კუართისა. ხოლო ღირსი ნინო ჰკითხვიდა სადაობასა კუართისასა. ხოლო იგი ეტყოდა: "ჰხუდა იგი წილად ჰურიათა მცხეთელთა". ხოლო იგი ეტყოდა: "სადა არს მცხეთაჲ?" ხოლო მან ჰრქუა, ვითარმედ: "არს ქუეყანაჲ ჩრდილოეთისაჲ და სამკვდრებელი წარმართთაჲ შორის სპარსთა და ოვსეთისა და ქალაქი არს მცხეთაჲ". ესე ყოველი ისწავა რაჲ, მადლობაჲ შეწირა ღმრთისა და ყოვლად წმიდისა დედოფლისა ღმრთისმშობელისა. ამას იგონებდა, რათამცა ღირს იქმნა ხილვად ადგილისა მის, სადა-იგი არს კუართი უფლისა იესუჲსი. და

ყოველსა ჟამსა ევედრებოდის სენაკსა შინა თვსსა ხატსა მას წმიდისა ღმრთისმშობელისა წინაშე მდგომარე, რათა განაგოს უმჯობესი სულისა მისისაჲ. ხოლო ტკბილმან მან და მარადის ნუგეშინის-მცემელმან [ყოველთა] მვედრებელთა მისთამან, სასომან ჩუენმან წმიდამან ღმრთისმშობელმან, შეისმინა ვედრებისა მისისაჲ და მოიკსენა წილხუდომად მისი ქართველთა ნათესავისაჲ. ოდეს იგი წილ იგდეს მოციქულთა ქუეყანაჲ, და ამისთვისცა განჰმზადა ღირსი და წმიდაჲ ნინო მოციქულად. და ნეტა[რ] ვართ ჩუენ და სამგზის სანატრელნი, რამეთუ ნაწილნი ვართ ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისანი. ხოლო სიტყუად ჩუენისა წმიდისა ნინოჲს განგებათა და საქმეთა მივაქციოთ.ჰმადლობდა ღმერთსა. ხოლო იყვნეს მათვე ადგილთა მწყემსნი და იკითხვიდა მათგან ვინაობასა და სადაობასა. ხოლო მათ მიუგეს: ”რომელნიმე ქინჯარელნი და სხუანი საფურცლით, და რომელნიმე ქალაქისაგან მცხეთისა”. და ვითარცა ესმა ვსენებაჲ მცხეთისაჲ, ფრიად ნუგეშინის ეცა. და კუალად მიხედნა და იხილნა მთანი ჩრდილოდსანი ჟამსა ზაფხულისასა სავსენი თოვლითა. შეძრწუნდა და ილოცვიდა და მოადინნა ცრემლნი.და მერმე მიიღო ქვაჲ და დაიდვა სასთუნალ და მიწვა განსუენებად. და ვითარ მიიძინა, წარმოუდგა მას კაცი ბრწყინვალე ხილვითა და მისცა წიგნი დაბეჭდული და ჰრქუა: ”აღდეგ და მიაართუ წიგნი ესე მეფესა წარმართთასა მცხეთას!” ხოლო მან ცრემლით მიუგო: ”უფალო, მე დედაკაცი ვარ უცხოჲ და ვიდრე ვიდე უცხოთა ნათესავთა თანა?” და განვსნა წიგნი იგი. დაწერილი იყო ჰრომაულად სახელი იესუდსი, და იტყოდა, რამეთუ: ”არა არს მამაკაცი და არცა დედაკაცი, არამედ თქუენ ყოველნი ერთ ხართ ქრისტეს მიერ, წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ასწავებდით მათ, რამეთუ ნათელი გამობრწყინვებად არს მათ ზედა. და სადაცა იქადაგოს სახარებაჲ ესე, მუნცა ითქუმოდის დედაკაცი ესე”. და ვითარცა განიღვძა ჩუენებისა მისგან, აღდგა და აღიპყრნა კელნი თვსნი და მყოვარ ჟამ ილოცა. და კუალად მოდრკა და ცრემლითა ქუეყანასა დაალტობდა და ყოველთა შესავედრებელსა წმიდასა ღმრთისმშობელსა ევედრებოდა და იტყოდა:

”# ყოვლადქებული და დიდებული ღმრთისმშობელო! რომელმან უხრწნელებით ჰმევ ცხორებად კაცთა მოსრული წმიდად იგი წმიდათად, სიტყუად ღმრთისად, შეიწირე ვედრებად უღირსისა მკველისა მონისა შენისად და შემწე და ჯელის ამპყრობელ მექმენ საცთურთა ზედა მტრისათა. აჰა ესერა ბრძანებისაებრ ძისა შენისა წარვემართები მე ქებად სახელისა მისისათვს წმიდისა, წარმიძელუ და მასწავე სიტყუად ჯეროვანი და მოხედენ და შეიწყალე ერი განწირული, რომლისათვს დასთხია პატიოსანი სისხლი თვსი ქრისტემან, ძემან შენმან და ღმერთმან ჩუენმან”. და ვითარცა სრულ-ყო ლოცვად, განათლდა გონებად მისი მადლითა ქრისტესითა და ყოვლად წმიდისა მარადის ქალწულისა მარიამისადთა და უშიშითა გონებითა წარემართა.

XI. და ვითარცა იწყო სლვად, მიემთხვა კაცთა თ[ან]ა მოგზაურთა და შეუდგა გზასა ქართლისასა, და მივიდა ქალაქსა ურბნისსა. და იხილნა კაცნი კერპთ-მსახურნი, და შევიდა ბაგინსა ურიათასა, რამეთუ უწყოდა ენად ბერძული და ებრაული.

ამისსა შემდგომად, დღესა ერთსა, წარემართნეს

სიმრავლენი ერთანი მიმავალნი ქალაქად მცხეთისად, თაყუანის-ცემად ღმრთისა მათისა არმაზისდა, და მათ თანა წარვიდა წმიდად ნინო. და ვითარცა მიიწია მცხეთას, დადგა იგი წინა კერპო ჳიდისა მის და ხედვიდა ერისა მის სიმრავლესა, რომელნი დაბნელებულ იყვნეს საცთურითა მით კერპთმსახურებისადთა, და ცრემლოდა ცთომილებისათვს მათისა. ხოლო ხვალისა დღე დასცეს საყვრსა და აღიმრა სიმრავლე ურიცხვ და ფერად-ფერადად შემოსილნი გამოვიდეს ქალაქით. და ვითარ მიჰრიდა ერმან, გამოვიდა ნანა დედოფალი და ფოლორცნი შეემკუნეს თითო ფერთა სამოსლითა. და შემდგომად მისსა გამოვიდა მეფე მირიან და იქმნეს ჳმანი ებნებისა და ნესტუებისანი. მაშინ ჳკითხა ღირსმან ნინო დედაკაცსა ჳურიასა: ”რადსათვს არს ზარი ესე და ჳმანი ნესტვსანი?” ხოლო მან ჳრქუა, ვითარმედ: ”ღმრთისა მათისა თაყუანის-ცემად აღვლენ, რომელი არა რად არს სხუად, გარნა კერპი

უსულოდ”.მაშინ აღვიდა ნეტარი ნინოცა მათ თანავე. და აღივსნეს მთანი იგი სიმრავლითა ერისაჲთა. და ხედვიდა საკვრველებასა მას მეფისა და ერისასა და საოცრებასა მას კერპისასა განიცდიდა. [რამეთუ] დგა კაცი სპილენძისაჲ და ემოსა ჯაჭვი ოქროსაჲ და სამკრენი ოქროსანი, და თავსა ებურა ჩაფხუტი ოქროსა, და აქუნდეს თუალად მისსა ქვანი ბივრიტი და იაკინთი, და კელთა აქუნდა ვრმალი, და ვითარცა ელვად იქცეოდა კელთა შინა მისთა, და რომელიცა მიეახლის, სიკუდილად წარიწირის თავი თვისი. და რომელნიმე მათგანნი იტყოდით: ”ნუუკუე და აკლს მსახურებაჲ რადმე, ანუ ეზრახა ებრაელსა ვისმე თანა”. და სხუანი იტყოდეს: ”ნუუკუე უცნაური იგი ღმერთი ზეცათაჲ მოიგონა, ანუ მზისა ღმერთად წოდებასა დახუდა”. ესრეთ აოცნებდა შორის მისსა მყოფი ეშმაკი. ხოლო მარჯუენით კერძო უდგა კაცი ოქროსაჲ და სახელი მისი გაცი, და სხუად ერთი მარცხენით -

ვეცხლისაჲ, და ეწოდა მას გატი.

ესე ყოველი იხილა რად ნეტარმან ნინო, სულთ-ითქუნა და ცრემლოოდა სრულიად სიბრძნისათვის მათისა, რომელ მეფე და ყოველი ერი ერთბამად მათ ღმერთად აღიარებდეს კერპთა უსულოთა. წარვიდა მცირედ და დადგა კლდისა რადსმე ძირსა და აღიპყრნა კელნი ზეცად და ილოცვიდა და იტყოდა: ”უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩუენო და შემოქმედო ყოველთაო, რომელი ცხორებისათვის ჩუენისა კაც იქმენ და ხატი მონისაჲ შეიმოსე, რათა აცხოვნო რომელ ჰქმენ ხატად შენდა და იცსენ მძლავრებისაგან ეშმაკისა ბნელისა, რომელსა მხოლოსა გნებავს ყოველთა ცხორებაჲ და მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მოსლვად შენ, უფალო, ისმინე ვედრებაჲ უღირსისა მონისა და მკველისა შენისაჲ და აჩუენე ძლიერებაჲ შენი ჟამსა ამას, და ყავ სასწაული, რათა პოონ ერთა ამათ მცნებაჲ შენი. და შენ მხოლო გიცნან ღმერთად ჭეშმარიტად და შენდა შესწირვიდენ დიდებასა”.მაშინ, ვითარცა სრულ ყო ლოცვად, მყის გამოჩნდა დასავალით ღრუბელი ბნელი და აღდგეს ქარნი ძლიერნი და იქმნნეს ქუხილნი სასტიკნი და ჯმანი საზარელნი და მეხისტეხანი შესაძრწუნებელნი, რომლისა მიერ მეფე და მთავარნი და ერი იგი

ურთიერთას დასთრგუნვიდეს და თითოეული ქალაქად მირბიოდა. ხოლო ადგილსა მას, და კერპთა ზედა მოიწია სეტყუა თხრობად განსაკვრვებელი, ვიდრემდის სრულიად დამუსრნა კერპნი იგი და ზღუდე და ყოველი შენებულებად დაარღვა და უჩინო ყო. ხოლო აწ ძირსა მის მთისასა შენ არს ეკლესიად წმიდისა ღმრთისმშობელისაჲ. ხოლო ნეტარი ნინო ჟამსა მას საშინელსა ღმრთისა მიერითა მადლითა უვნებელად დაიცვა. და ვითარ განწმდა ჰაერი, წარმოვიდა წინა კერძო დასავალსა კლდისასა და პოვა ხეშეუნიერი და გამოსახა მას ზედა ჯუარი და ექუს დღე დაადგრა მუნ და ილოცვიდა დღე და ღამე. ხოლო ერისა სიმრავლე კუალად განვიდა ხილვად ადგილისა მის, სადა დგომილ იყო არმაზ კერპი. და იხილეს რაჲ ადგილი იგი, დაუკვრდა და იტყოდეს სიტყუათა სიცოფისათა ესრეთ: "მტერ არს ღმრთისა ჩუენისა არმაზისა ღმერთი იგი ქალდეველთაჲ და ურთიერთას მძლავრობენ, და ესე ყოველი მის მიერ მოიწია". მაშინ მივიდა ერთი წარჩინებულთა მკვევალთაგანი, სახელით შროშანა, და იხილა ამაწ წმიდაჲ ნინო მუნ ესრეთ მყოფი, განკვრდა და კითხვიდა ვინაობასა. და ვითარცა ზედამიწევნით ისწავა მიზეზი მუნ მისლვისა მისისა, ფრიადითა ცრემლითა აღვსებული მის თანა წარსლვასა ეტყოდა წინაშე დედოფლისა. ხოლო მან არა ინება მის თანა წარსლვაჲ, არამედ შემდგომად სამისა დღისა შევიდა ქალაქად და მიჰმართა წალკოტსა მეფისასა და პოა მუნ მცირე სახლი, რომელსა შინა იყოფებოდა დედაკაცი, სახელით ანასტოს, და აღდგა და მიეგება მას და შეიტკბო ვითარცა მეცნიერი, დაჰბანნა ფერჭნი და სცხო ზეთი და მოართუა საზრდელი და ცხრასა თუესა იყოფებოდა მის თანა.

XII. ხოლო დედაკაცი იგი იყო უშვილო და ფრიად მწუხარე იყო ქმარი მისი. და ღამესა ერთსა იხილა ნეტარმან ნინო კაცი ბრწყინვალე, რომელმან ჰრქუა: "შევედ სამოთხესა მაგას ხესა ქუეშე ყუავილოვანსა და აღილე მიერ მიწად და აჭამე კაცსა მაგას და იქმნეს შვილიერ". ხოლო მან ყო ეგრეთ, და შემდგომად ამისსა ესხნეს ძეგბ და ასულებ. და იხარებდა კაცი იგი. ხოლო ხე იგი იყო კვპაროზი და ქუეშე მისსა მრავალფერი

ყუავილი. და კუალად იხილა ღირსმან მან ჩუენებით, რამეთუ მოვიდიან მფრინველნი და განიბანნიან წყალსა მას შინა მდინარესა მტკურისასა და [აღ]მოვიდიან და ხესა მას ზედა შე[ი]კრიბიან და ქუეშე მისსა ყუავილთა მოისთულებდიან. მაშინ მიუთხრა ჩუენებად ესე შროშანასა და ასულსა აბიათარ მღუდლისა ურისასა. პირველად შემცნებულსა და იმის მიერ ჭემმარიტისა გზისა მომპოვნებელსა, რამეთუ უწყოდა მან წიგნი ძ[უ]ელისა სჯულისა და გამოუთარგმანებდა მას ღირსი ნინო მოსლვისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჳს საღმრთოთა წიგნთაგან მოსესსა და წინაღსწარმეტყუელთასა. და მამად მისი, აბიათარ მღდელთ- მოძღუარი იყო ჰურიათად და ფილოსოფოსობითა შემკულ, რომელმან- იგი ფრიად ილუაწა ჭემმარიტებისათჳს ნინოდს თანა, რომელი-იგი ჟამსა თჳსსა მიგითხრა.

ხოლო ვითარცა წმიდამან ნინო ჩუენებად იგი მიუთხრა, სიდონია აღიძრა ცრემლით და თქუა: “ყოვლად უცხოო და შორით მოსრულო და ჩუენდა მომართ საღმრთოო ნიჭო! შენ მიერ ეგულების შემოქმედსა განათლებად სულთა ჩუენთად და შენ მიერ იცნან ღმერთი ყოველთა ერთა, და რომელნი არიან ტყუეობასა შინა ეშმაკისასა, ადრე განთავისუფლდენ”. ესრეთ აღუჳსნა ჩუენებად იგი კეთილმან მან დედაკაცმან. ხოლო ნინო წარვიდა მაყუალთა მათ შინა, რომელნი-იგი დგეს შორის სამოთხესა მას მახლობელად კვპაროზთა მათ, რომელნი- იგი სახედ ტალავრისა გარდაფენილ იყუნეს და ჰფარვიდეს მას, და მუნ შინა აღასრულნის ლოცვანი თჳსნი.ამათ მაყუალთა შინა შევიდა ღირსი ნინო და აღიპყრნა ჳელნი და მადლობად შეწირა ღმრთისა და ილოცა, რათა მისცეს მას მეცნიერებად ღმრთეებისა მისისად. ხოლო იყო მოქალაქობად მისი და მოლუაწებად ცრემლითა ლოცვად და საწადელ და საშუებელ მარხვად, და სამოსელი მისი დაბეჭკული ბალნისად და სარეცელი ძუელ, დარეცილი მიწასა ზედა. ესევეითართა მოლუაწებითა დაადგრა ადგილთა მათ შინა ექუს წელ მრავლითა მოლუაწებითა.

და დღესა ერთსა იხილა სამოთხისა მის მოლუაწისა, რომლისა ძე სნეულ იყო. ხოლო მან აღიქუა საყუარელი იგი ძე მისი და მიჰგუარა წმიდასა

ნინოს და ევედრებოდა განკურნებად. ხოლო ღირსმან მან ღმრთისა შეწევნასა მოუწოდა და სარეცელსა თვსსა მიაწვინა და ქრისტეს- მიერი ჯუარი ზედა გამოსახა, და ილოცა რად, მყის აღდგა ყრმად იგი მრთელი და უვნებელი და მისცა იგი მამასა მისსა. და კუალად [ა]სული დედაკაცისა ვისიმე ვნებული განკურნა. და მიიწია ჰანბავი ესე წინაშე დედოფლისა და ვინაფთგან იგიცა ესევეითართა სენითა შეპყრობილ იყო, მეყსეულად მიავლინა მისსა ვედრებით, რათა მივიდეს მისსა. ხოლო ღირსმან მან პატივისამან სამეუფომ იგი ბრძანებად არად მიითუალა, რამეთუ მდაბალ იყო გონებითა. ხოლო სენთა მათგან ფიცხელთა შეპყრობილმან იძულებით ზუაობითი მეფობისა პატივი დაუტევა დედოფალმან, და უცხოდა მის და მდაბლისა მირბიოდა. ვითარცა მიიწია იგი წმიდისა მის, კურნებასა ევედრებოდა. ხოლო იგი ეტყოდა: ”ჴ დედოფალო! მე დედაკაცი ვარ უცხომ და უნდომ ჴორცთა შინა მყოფი და არა ძალ მიც კურნებად გარნა თაყუანის ვსცემ და ვქადაგებ, რომელი-იგი არს დამბადებელი ყოველთა და მკურნალი სულთა და ჴორცთა და უკუეთუ თაყუანი სცე მას და ღმერთად აღიარო, უეჭუელად მიემთხვო კურნებასა”. და დედოფალი ეტყოდა: ”უკუეთუ განვიკურნო, ყოველი იგი დაუტეო ცთომად, და ვითარცა მრქუა შენ, ვყო ეგრეთ”. ხოლო ნეტარმან ნინო მიაწვინა ცხედარსა ზედა თვსსა და აღიპყრნა ჴელნი და ილოცვიდა ესრეთ მეტყუელი: ”უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩუენო, რომელმან შეხებითა სამოსლისა შენისაფთგან განჴკურნე წიდოვანი იგი დედაკაცი, ეგრეთვე მოვედინ წყალობად შენი და მადლი შეწევნისა შენისაფ გარდამოგვვლინე ჩუენ ზედა”. და ესრეთ რად ილოცა, ყოვლითურთ განკურნებული წარავლინა სახედ თვსად და იხარებდა. ხოლო დედოფალმან იხილა რად მსწრაფლი იგი კურნებად მისი, ფრიადი სასყიდელი მიართუა ნაცვლად კურნებისა. ხოლო ღირსმან ნინო ჴრქუა: ”ესე ჩემდა არად საჴმარ არს აწ, რამეთუ ჴეცისა ნიჴთა და პატივთა მოველი, და თუ გნებავს შენ სრული კურნებად, თაყუანისეც ღმერთსა შემოქმედსა შენსა და დამბადებელსა ყოველთასა”. და შემოიხუნა შორის საღმრთონი სწავლანი, ვითარნი ჴერ იყვნეს მითხრობად ჟამსა მას. ხოლო

დედოფალი ღმობიერ იქმნა და განკვრდა ტკბილთა მათ სწავლათა ზედა ნინოძსთა და განათლებული გონებითა სახედ თვსა მიიქცა, და აუწყა მეუღლესა თვსსა მსწრაფლი იგი კურნებად და ძალი იგი ღმრთისაჲ მის, რომელსა ქადაგებს უცხოჲ იგი. და ვითარცა ესმინნა მისგან, აუწყა, და ევედრებოდა, რათა იგი მხოლოდ უწყოდა უფლად ჭემმარიტად. ხოლო მეფემან მირიან მეუღლესა ზედა თვსსა ქმნილი იხილა ღმრთისა საკვრველებად და დაუკვრდა ფრიად ესრეთ მეყსეულად განკურნებაჲ მისი და უვნებელობაჲ. კუალად სხუასა ჟამსა მცირე ძე მეფისა შეპყრობილ იქმნა ფიცხლად სენითა მკურვალეებისაჲთა, რომლისა უბრძანა დედოფალმან, რათა მიჰგუარონ ღირსსა ნინოს და ევედრებოდა განკურნებად მისა. ხოლო წმიდამან ჩუეულებისაებრნი ლოცვანი ზედა დაასხნა და ვედრებაჲ შეწირა უფლისა და ყოვლითურთ განკურნებული მისცა დედასა თვსსა. ამისსა შემდგომად დაემოწაფა დედოფალი ნანა ღირსსა ნინოს სხუათა თანა წარჩინებულთა მკევალთა მისთა. და მარადის ისმენნ სწავლათა მისთა და მოძღურებათა. და ვითარცა სასწაულნი იგი დღითი დღე აღესრულებოდეს წმიდისა მის მიერ და განითქუმოდეს ურიცხუნი იგი კურნებანი. და კუალად მთავარი ვინმე სპარსი მოვიდა მეფისა, სახელით ხუარა, რომელი-იგი იყო დედის ძმაჲ დედოფლისაჲ. ესე ვნებულ იყო სულისაგან ბოროტისა და ფრიად იგუემებოდა მრავლით ჟამითგან და ევედრეოდა განკურნებად ღირსსა ნინოს. ხოლო მეფემანცა მიუმცნო ურწმუნოებით და ორგულებით და ჰრქუა: ”რომლისა ღმრთისა ძალითა ჰყოფ შენ კურნებათა? ნუუკუე ხარ შენ ასული არმაზისი ანუ შვილი ზადენისი? და ვინაჲთგან უცხოებით მოხუედ, მოგანიჭეს შენ ძალი კურნებისა, დაღაცათუ ჰაერთაგან შეიმუსრნეს, გარნა ეგრეთცა ცხოველ არიან. აწ უკუე ვინაჲთგან ფრიად პატივცემულ არიან ღმერთნი ჩემნი, და უკეთეს სხუათა ყოველთა ღმერთთა, თაყუანის-ეც მათ, და უკუეთუ ჰყო ესე, მრავალი სიმდიდრე მიიღო ჩემგან, და იყო ყოველთა მიერ სახელოვან და დიდ ამას ქალაქსა შინა ჩემსა”. ხოლო ნეტარმან ნინო მიუგო და ჰრქუა: ”შენ უკუე, მეფე, ცხონდი სიტყვთა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომელი-იგი არს

შემოქმედი ცათა და ქუეყანისა და ყოველთა დაბადებულთაჲ, რომელმან-იგი გამოაბრწყინვოს ნათელი ჭემმარიტი გულსა შინა შენსა, რომელი-იგი მაღალთა შინა მყოფ არს და მდაბალთა ხედავს; რომლისა კვლთა შინა არს სული ყოველთაჲ და ცხორებაჲ და სიკუდილი. და ვესავ მას, რამეთუ ახლოს არს მოქცევაჲ შენი მისსა. და შენ არა უწყი მეფეო, რამეთუ არს ქალაქსა ამას შინა შენსა სამოსელი უფლისა მის ჩუენისა იესუ ქრისტესი და მით იქმნებიან სასწაულნი ესე და კურნებანი და ძალნი და სხუანი ურიცხუნი ყოფად არიან და განიკურნოს მთავარიცა ესე სახელითა მისითა წმიდითა”.

მაშინ მიიყვანეს მთავარი იგი და თანა მიჰყვა დედოფალიცა და შეიყვანა იგი ხეთა მათ ქუეშე კვპაროზთა და ჰრქუა ნეტარმან ნინო: ”უკუეთუ გრწამს უფალი იესუ ქრისტე, ჭემმარიტი იგი ღმერთი, განთავისუფლდე ვნებისა მაგისგან შენისა”. ხოლო მან მიუგო: ”მრწამს, რომელსა-იგი შენ ესავ, ოდენ შემძლებელ არს იგი განკურნებად ჩემდა”. მაშინ წმიდამან უბრძანა სამგზის თაყუანისცემად აღმოსავალით და აღსაარებად სახელსა წმიდისა სამებისასა. და მერმე მიაქცია დასავალით და ესე წართქუჲმია: ”ვიჯმნი შენგან, ეშმაკო, და ყოველთა საქმეთა შენთაგან!” და მიხედა მას თუალით და თქუა: “შეგრისხენ უფალმან ეშმაკო!” და მეყსეულად ივლტოდა მისგან ეშმაკი და განთავისუფლდა ვნებისა მისგან. ხოლო ცნა რად მეფემან, ვითარმედ ქრისტესა ათაყუანა მთავარი იგი, განრისხნა და ბორგდა ფრიად ნინოდსთჳს და ნანა დედოფლისა. და აღდგა და განვიდა ნადირობად და იტყოდა: ”შემო-რად-ვიქცე, შური ვიძიო მათგან შეურაცხებისათჳს ღმერთთა ჩემთაჲსა”. და ვითარცა განვიდა იგი მთასა ზედა თხოთისასა, ჟამსა სამხრისასა დაუბნელდა მას განგებულებითა ღმრთისაჲთა, ვითარცა იგი პირველ პავლეს. და ვითარცა ვერ შემძლებელ იყო იგი სლვად, ჳმობდა იგი მონათა მიმართ და მთავართა, ვითარმედ: ”დაბნელდეს თუალნი ჩემნი, ხოლო თქუენ ხედავთა ნათელსა?” ხოლო იგი[ნი] ეტყოდეს: ”ბრწყინვალედ ვხედავთ ჩუენ ნათელსა მზისასა!” ჰრქუა მათ: ”ევედრენით ზადენს და არმაზს, რათა გამინათლონ მე!” ხოლო ყოველნი იგი ერთობით ჳმობდეს სახელსა მათსა და არარაჲ

სარგებელ ეყო მას. მერმე მოეგო გონებასა და თქუა გულსა შინა თვსსა. ”შეუვრდე ჯუარცუმულსა მას, რომელსა-იგი ქადაგებს უცხოთ იგი დედაკაცი და ჰყოფს კურნებასა სახელითა მისითა”. მაშინ ჳმა ყო და თქუა: ”ღმერთო ნინოჲსო! რომელი ხარ ღმერთი ჳემმარიტი, განმინათლე სიბნელე ესე ჩემ ზედა მდებარე და გამომიბრწყინვე მე ნათელი, რათა აღვიარო სახელი შენი წმიდაჲ და გადიდებდე [შენ!]. ხოლო სახიერი იგი და კაცთ-მოყუარე ღმერთი, რომელი ბრძანებს მოქცევასა კაცთა ცხორებისათჳს, მყის მოფინა ნათელი და განანათლა ბნელი. [მაშინ] მეყსეულად აღიპყრნა ჳელნი აღმოსავალით, ჲაღატ-ყო და თქუა: ”ჳემმარიტად, შენ ხარ ღმერთი ჳემმარიტი და შენ ხარ ღმერთი ღმერთთაჲ და უფალი უფლებათაჲ, რომელმან შეჳქმნენ ცანი და ქუეყანაჲ, და შენ აღვიარებ და შენ თაყუანის-გცემ, რომელმან მიჳსენ ჳირისა ამისგან, და მრწამს, რამეთუ გინებს ჳსნაჲ ჩემი, და ამიერთგან თაყუანის-ვსცემ პატიოსანსა ჯუარსა შენსა”. და უბრძანა ყოველსავე ერსა, რათა მიიღონ ქვაჲ და ჳელითა თვსითა შექმნა ადგილსა მას, სადა-იგი პოა ნათელი, ეგუტერი მცირე, ჯუარის სახედ, და ვიდრე აქამომდე ჩანს ნაქმარი იგი. ხოლო სამხრით კერძო ადგილისა მის სიახლესა შენ არს ეკლესიაჲ სახელსა ზედა მთავარ-მოწამისა გიორგისსა. და შემდგომად ამისსა წარვიდა აღვსებული სიხარულითა და შემკული ქრისტეს სარწმუნოებითა და წინაწარავლინა მახარებელი საქმისა მისთჳს.

XIII. და ვითარცა მიეახლა ქალაქსა მას სამეუფოსა, წინა მოეგებვოდა ერი ყოველი და თვთ დედოფალიცა ნანა და ერთბამად ყოველნი ადიდებდეს ღმერთსა. და ვითარცა შევიდა მეფე პალატად, თქუა: ”სადა არს უცხოთ იგი დედაკაცი, დედაჲ ჩემი, რამეთუ ღმერთსა, რომელსა-იგი ქადაგებს, იგი არს ჳემმარიტი მჳსნელი ჩემი!” და ჲირსისა მის ნინოჲს მიმართ მიისწრაფდა, და ჳმოზდა და იტყოდა: ”მრწამს ამიერთგან, მოციქულო ჳემმარიტისა ჲმრთისაო, [რამეთუ] იგი არს ჳემმარიტი ღმერთი და უფალი, რომელსა-იგი შენ ჳქადაგებ და მას ვესაგ და მას თაყუანის-ვსცემ”. და ევედრებოდა, რათა გამ[ო]უსახოს სახე ეკლესიისა. მაშინ ახალმან ბესელიელ და მის-მიერისა მადლისა წარმომჩინებელმან სახე

ეკლესიისა და დაუსახა და აღაშენეს საღმრთოდ ტაძარი სახელსა ზედა წმიდისა ღმრთისმშობელისასა. და კუალად უბრძანა მეფემან აღშენებად სხუად ტაძარი შორის სამოთხესა მას, სადა-იგი მდგომარე იყო ხე იგი კვპაროზი სურნელი და ქუეშე ყუავილოვანი. და ვითარცა შურებოდა ყოველი იგი ერი მოსწრაფედ, უბრძანა მოკუეთად მეფემან ხე იგი კვპაროზი, რათა შექმნან იგი სუეტად ტაძრისა მის. ხოლო აქან მელოდენ სიტყუად ესე და თქუენ ისმინეთ საწადელი ესე თხრობად.

XIV. რაჟამს-იგი ინება ღმერთმან კსნად კაცთა ნათესავისად, გარდამოავლინა ძე და სიტყუად თვისი და ჯორცნი შეიმოსნა წმიდისაგან ქალწულისა და კაცთა თანა იქცეოდა ჟამთა ოცდა ცამეტისა წლისათა. და აღასრულებდა ნიშთა და სასწაულთა ბუნებათა უვალრესთა. ხოლო ჰურიათა ნათესავნი, მღდელნი და მწიგნობარნი, შურითა განიხერხებოდეს. ხოლო იყვნეს მას ჟამსა მცხეთასცა შინა სამღდელონი ტომნი ჰურიანი და პასექსა მას წლითი-წლად აღვიდიან იერუსალიმს სიტყვს-ყოფად და დამტკიცებად სჯულსა მოსესსა, რათა არა დაიკსნას იგი. და ოდეს-იგი ენება ჯუართა ვნებად შემოქმედსა მას ყოველთასა, მას ჟამსა უმეტეს აღაბორგნა ეშმაკმან ჰურიანი და მიუწერეს მცხეთელთა მათ იერუსალიმით, ვითარმედ: ”კაცისა მის მიერ, რომელსა ჰრქვან იესუ, განქარდა სჯული მოსესი და დაიკსნეს ყოველნი წესნი ჩუენნი და ესე კაცი, რომელი აღდგომილ არს, მოვედით და შეგუეწიენით, რათა შური ვიძიოთ მას ზედა და რათა სჯული მამათა ჩუენთად დავიცვათ და დავამტკიცოთ”. მაშინ სჯულის მეცნიერთა მათ გამოირჩიეს ელიოზ, კაცი ბრძენი და მეცნიერი, და წარგზავნეს იერუსალიმს. ხოლო დედად ელიოზისი [იყო] მოხუცებული, და ფრიად ბრძენი და გონიერი. და იყო ასული მისი, დად ელიოზისი, ქალწული და შემკული ღმრთის მოშიშებითა. და წარ-რად-ვიდოდა ელიოზ, მოიკითხა დედამან მისმან და ჰრქუა: ”შვილო, აჰა ესერა წარხუალ წოდებასა მას, რომელსა ზრახვენ მღდელთმოდღუარნი და ფარისეველნი კაცისა მისთვს მართლისა, ნუმცა შერთულ ხარ მათ თანა, რამეთუ იგი არს მოსწავებული წინადაწარმეტყუელთად. და იგი არს წარმართთა ცხობრებად საუკუნოდ”.

და კუალად დად იგი მისი ვითარცა მისცემდა მოკითხვასა, ჰრქუა: "მმაო სასურველო! ღირს იქმნები შენ ხილვასა კაცისა მის მართლისასა, რომელსა ჰრქვან იესუ, და ნეტარ ხარ შენ და გევედრები მე, რათა რასაცა შეხებულ იყვნენ ჳელნი მისნი წმიდანნი, ანუ თუ სამოსელთა მისთა შეხებულ იყვნენ, უკუეთუ მოიტანო, ნეტარ ვიყვნეთ". ესე რად ჰრქუა მას, წარვიდა.და ვითარცა მიიწია იერუსალიმს, შეკრებულ იყო ერი ჰურიათად და დაემტკიცა ჯუარცუმად ქრისტესი. ხოლო არასადა ეზიარა განზრახვასა მათსა, არამედ შორს დგა იგი და მისთანანი იგი. და მივიდეს იგინი ხილვად იესუმსა, ვითარცა-იგი წერილ არს სახარებასა შინა, ვითარმედ: "იყვნეს ვინმე წარმართთაგანნიცა, რომელნი აღმოსრულ იყვნეს იერუსალიმად დღესასწაულსა მას. ესენი მოვიდეს ფილიპესსა, რომელი იყო ბედსაიდადთ გალილიისადთ და ეტყოდეს [მას]: „უფალო, გუნებავს იესუმსა ხილვად". მოვიდა ფილიპე და ჰრქუა ანდრიას". ესენი იყვნეს ელიოზ და მისთანანი წარმართთაგან მოსრულნი. ხოლო ვითარცა აღესრულა ნეფსით ვნებად მაცხოვრისად, მიხუდა წილითა კუართი უფლისა ჩუენისად ელიოზს,ვითარცა წერილ არს: "განიყუეს სამოსელი ჩემი და კუართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი". ხოლო მას ჟამსა ჯუარცუმისასა, ოდეს ნუსმარსა ჰკრა კუერი მტარვალმან ჳელთა ზედა უფლისათა, ჟამსა მას მიიწია ყურთა ელიოზის დედისათა და ჳმა ყო ძლიერად აღძრულმან სულისაგან და თქუა: "ამიერიტგან მშვდობად შენდა მეფობაო ჰურიათაო, რამეთუ მოჰკალთ უფალი მოსრული მაცხოვრად და იქმნენით მტერ შემოქმედისა". და ამას ზედა შეისუენა მასვე ჟამსა. არა თუ იყოლა მაშინ მეფობად ჰურიათად, გარნა წარწყმედასა მათსა მოასწავებდა, ვითარცა წერილ არს: "აჰა ესერა დაუტევენთ სახლნი თქუენნი ოჯრადო".ამისსა შემდგომად წარმოვიდა ელიოზ იერუსალიმით სახედ თვსად და დად იგი მისი მიეგება და მოეხზა ქედსა. ხოლო ელიოზ გამოილო კუართი იგი საუფლოდ და მისცა მას და ჰრქუა: "აჰა, რომლისა-იგი გსუროდა, მიიღე კუართი მისი". ხოლო ვითარცა მიილო დედაკაცმან მან კუართი იგი უფლისად, რამეთუ შეკეცილ იყო იგი,დაიმთხზა რა პირსა და დაიდვა მკერდსა და ჳმა ყო ცრემლითა და აღმოუტევა სული.

მაშინ აღიძრნეს ერნი უცხოსა მას ზედა სასწაულსა და იქმნა შფოთი დიდი და ამცნეს მეფესა მის ჟამისასა ადრეკის. ხოლო მას ენება, რათა გამოუღოს კუარტი იგი. ხოლო დაჰქსნა იგი ზარმან მის მკუდრისამან, რამეთუ მაგრად ეპყრა იგი მკერდსა ზედა. ხოლო ელიოზ, შიშითა შეპყრობილმან, დაა იგი საყუარელი და წმიდაა კუარტითურთ დაჰკრძალა მიწასა შინა. და მეყსეულად აღმოჰედეს მის ზედა ხენი იგი კვპაროზნი და აღმოეცენა ხესა მას ქუეშე ყუავილი მრავალფერი და სურნელი. ხოლო აწ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ.

XV. ვითარცა მოჰკუეთეს ხე იგი კვპაროზი, გამოსცა სულნელებად მიუთხრობელი, და შეჰმზადეს სუეტად, ვითარცა ბრძანებულ იყო მეფისა მიერ. და ენება აღმართებად არა მასვე ადგილსა, სადა-იგი მოეკუეთა, არამედ სხუასა, ერთ კერძოსა ტაძრისასა. და მოვიდა მეფე და ყოველი ერი და ფრიადითა ღონისა-ძიებითა ჯლყვეს აღმართებად მისი და ვერ შეუძლეს, რამეთუ საღმრთოდ ძალი აყენებდა. და მოიწია ღამე და წარვიდა მეფე და ყოველი ერი განკვრევილნი. ხოლო ნეტარი ნინო დგა მას ღამესა მახლობელად სუეტისა მის და ილოცვიდა. და იხილა ჭაბუკი ერთი ნათლითა შემოსილი. და ნინოდსვე გუერდით დგეს შროშანა და სიდონია, და იხილეს მათცა და ეტყოდა ნინოს: "რაა არს ხილვად ესე?" ხოლო მან ჯელთ განუხარა და უბრძანა განშორებად. და კაცმან მან ნათლით-შემოსილმან აღჰმართა ძელი იგი აღმართებით ადგილსა მას, სადა იგი მდგომარე იყო. და ორ კაც ოდენ სიმალლესა დადგა იგი და გამოსცემდა ბრწყინვალეზასა, და ფრიადსა სულნელებასა. და ვითარცა იქმნა ცისკარი,

გამოვიდა მეფე ჭირვეული სუეტისა მისთჳს და მოეახლა ადგილსა მას და ეყნოსა სული სულნელებისად მიუთხრობელი. და იხილა ხილვად საშინელი და ელვარებად ბრწყინვალე და სუეტი იგი მაღლად ზე მდგომარე, და იწყო შემოკრებად ერისა სიმრავლემან და ყოველი ქალაქი და თვთ მეფე და დედოფალი ცრემლითა ილტობოდეს. და ვითარ-იგი ხედვიდეს ყოველნი, სუეტი იგი ნათლით შემოსილი მცირე -მცირე მოვიდოდა და ძირთავე მისთა ზედა დაემყარა და შეეძერწა ყოვლითურთ

შეუხებელად კელთაგან კაცთადასა. და აღივსნეს ყოველნი შიშითა და სიხარულითა და ერთკმობით ადიდებდეს ღმერთსა ნინოდსა, და მიერთგან იქმნებოდეს ძალნი და სასწაულნი. მას ჟამსა იყო ვინმე ჰურიაჲ შობითგან ბრმაჲ; მოვიდა და შეეხო სუეტსა მას და აღეხილნეს თუალნი მისნი. და მოვიდა სარწმუნოებად ყოველთა სახლეულთა მისთა თანა. კუალად მთავრისა ვისმე წარმართისა ძე მრავალჟამ მდებარე იყო ცხედარსა ზედა, რომლისა ასონი უძრავ ქმნილ იყვნეს და დაკსნილ ეშმაკისაგან. ესე მოილო დედამან მისმან წინაშე სუეტისა მის და ევედრებოდა ნეტარსა ნინოს, რათა ილოცოს მესა მისსა ზედა და განკურნოს. ხოლო მას შეეწყალა დედაკაცი იგი და დასდვა კელი სუეტსა მას და მუნითგან შეახო ყრმასა მას და რქუა მას: "გრწმენეს უფალი იესუ ქრისტე ღმერთად ჭემმარიტად, რათა განიკურნო გუემულეებისაგან!" ხოლო ყრმა იგი კმობდა: "მრწამს, წმიდაო ღმრთისაო". მაშინ უპყრა კელი და აღადგინა მრთელი და მისცა დედასა თვისსა.

ხოლო მასვე ჟამსა შინა შიში დიდი დაეცა ყოველთა მათთჳს სასწაულთა, რომელნი იქმნებოდეს სუეტისა მისგან ბრწყინვალისა. მაშინ მეფემან შექმნა გარემოდს სუეტისა მის საბურველი და დაფარა ხედვისაგან. და ეგრეთ გარემესა მას შეემთხვვნიან და განიკურნიან, ვითარითაცა ვინ შეპყრობილ იყვნიან უძლურებითა.

XVI. ხოლო პირველ ათისა წლისა მირიან მეფისა ყოველთა უფალმან წყალობა ყო ჰრომთა ზედა და ბერძენთა და ზეგარდამო წოდებითა გამოაჩინა მეფე მორწმუნე კონსტანტინე და დედაჲ მისი ელენე დედოფალი და ნათელ იღეს სახელსა ზედა ქრისტესსა ყოველნივე ერმან და პალატმან მისმან ამაღლებითგან უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა სამას მეთურამეტესა წელსა. და ამაღლდა რქაჲ ქრისტეანეთაჲ ხოლო დიდმან და მოციქულთა სწორმან და მიმსგავსებულმან კოსტანტინე, დიდად ილუაწა და წარავლინა დედაჲ თვისი იერუსალიმად ძიებად პატიოსნისა ჯუარისა, რომელიცა პოა მან ჯერჩინებითა ღმრთისაჲთა და აღაშენნა წმიდანი ტაძარნი საუფლონი. ხოლო მას ჟამსა შინა, ოდეს იგი პატიოსანი ჯუარი აღმოგვიბრწყინა ქრისტემან ღმერთმან თვისითა

მადლითა დედოფლისა ელენეს მიერ მ[ო]პოებით, მსგავსადვე მისსა ამას ჟამსა მცხეთას თვისი დაფარული წმიდად სამოსელი გამოაბრწყინვა, რომელსა ზედა სუეტი ნათლისაჲ იხილვებოდა და კურნებანი მრავალნი იქმნებოდეს. და ჰრომთა და ბერძენთა ზედა იქმნა მეფე მორწმუნე კოსტანტინე. ეგრეთვე მასვე ჟამსა მეფე იქმნა ზეგარდამო განსწავლული კეთილად და სათნოდ ღმრთისა მორწმუნე მეფე მირიან.

მაშინ, ვითარცა განსრულდა შენებაჲ ეკლესიათაჲ და არღარაჲ იყო ნაკლულოვანებაჲ, გარნა ხოლო მღდელნი, <და> წარავლინნა მოციქულნი საბერძნეთის[ა] მეფისა მიმართ, და ითხოვნა სჯულისმდებელნი. ხოლო ვითარცა მიიწივნეს მოციქულნი იგი, განიხარა კოსტანტინე მეფემან და მრავლითა პატივითა პატივ-სცა და წარაყოლა

მათ თანა ევსტათი ანტიოქელი პატრიარქი, კაცი ყოვლითა სიბრძნითა სავსე, რომელმან ნიკიისა კრებასა დაამტკიცა მართალი სარწმუნოებაჲ. ხოლო ვითარცა მიიწია პატრიარქი სანახებთა ქართლისათა და თანა ჰყვა ძელი ცხორებისაჲ და ხატი უფლისაჲ და ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისა[ჲ], მოეგება მას მეფე და ყოველნივე ერნი და მთავარნი მისნი, და დიდითა პატივითა აღიყვანეს პალატად, და მიიღეს კურთხევაჲ მეფემან და დედოფალმან და ყოველმან ერმან. და წმიდასა ნინოს მიუძღუნა ნეტარებაჲ. და მისცა წიგნი ელენე დედოფლისაჲ, მიწერილი მისდამი პატივით. და ხვალისა დღე მოუწოდეს მეფემან და წმიდა[მან] ნინო პატრიარქსა და სამღუდელთა, და ნათელ-ილო მეფემან და დედოფალმან და ყოველთა მთავართა და ყოველმან ერმან, და აკურთხნა ეკლესიანი და დაამყარნა საკურთხეველნი და ყო სატფურებაჲ და დაასხნა ჳელნი მთავარ-ეპისკოპოსად ღირსსა იოვანეს, და ასწავა სჯული მეფესა და ყოველსა ერსა. ხოლო მკვდრ იყვნეს მცხეთას შინა მრავალნი სულნი ჰურიანი, რომელთა მღდელთმთავრად იყო მაშინ აბიათარ, რომელი ზემო ვაკსენეთ. და მიიყვანა იგი წინაშე პატრიარქისა მეფემან და ჰრქუა: “ჴ აბიათარ! ღმერთმან გვკსნნა წმიდისა ნინოდს მიერ კერპთა. მონებისა და საცთურთა მათთაგან, და ნათელ გვღებიეს ჳელითა პატრიარქისაჲთა სახელსა ზედა უფლისა იესუ ქრისტჳსა. აწ რაჲ გნებავს

თქუენ, ჰურიანო!”

მაშინ მიუგო აბიათარ და ჰრქუა: “მეფეო, ვითარცა უწყიან მთავართა შენთა და ყოველმან ამან ქალაქმან, ნათესავნი ვართ ბენიამენისნი, და სჯულსა მოსესსა სწავლულ, და ფრიად წურთილ წერილთა წინადაწარმეტყუელთასა და მეცნიერ ყოველსა მათ მიერ. ქადაგებულსა. და ყოველნი იგი ამისთჳს წამებდეს, ვითარმედ შეცვალებად იყო სჯული ესე ჩუენი და მოსლვად ღმერთი ქუეყანად. და მსგავსებად კაცთა და ნათლისღებად და ჯუარცუმად და სამარესა დადებად და აღდგომად მესამესა დღესა. ხოლო მამათა მათ ჩუენტა განარისხეს შემოქმედი და გამოაჯუნეს თავნი მათნი წყალობისაგან ღმრთისა, და სხუათა დაიპყრეს მეფობად ჩუენი, რათა ჩუენ ვიყვნეთ განზნეულ და მონებასა ქუეშე. ხოლო მე მივემთხვე ებისტოლესა ნათესავისა ჩემისასა პირველსა, რომელი-იგი შეუდგა მოციქულად ქრისტესა, და გულისჴმა ვყავ მით სჯულისა ჩუენისა განქარვებად, გარნა არვინ იყო მსწავლელ ჩუენდა. და აწ ოდეს ინება ღმერთმან და მოავლინა ქუეყანასა ამას მოციქულად ნეტარი ნინო, და ვიხილენ სასწაულნი უაღრესნი ბუნების[ა]ნი, რომელთა თქუენცა მეცნიერ ხართ, მეფეო, და შეუდგა მას ასული ჩემი, და აწ მეცა მზა ვარ ნათლისღებად სახელსა ზედა სამეხისასა”. და ვითარცა ესე ყოველი წარმოთქუა, განიხარა მეფემან და ნათელ-სცა პატრიაქმან აბიათარს და ყოველსა ნათესავსა მისსა, და მისცა მეფემან დაბად, რომელსა ეწოდების ციხედიდი, და იყო საყუარელ წინაშე მისსა. ხოლო სხუანი ჰურიანი, რომელთა არა ნათელ იღეს, განიზნინეს მცხეთით და წარვიდეს. ხოლო ევსტათი პატრიაქმან დაამტკიცა მართლმადიდებლობად და ასწავა წესი ეკლესიათად, და იჯმნა მეფისაგან და წარემართა ქუეყანად თჳსად. ხოლო მეფემან და სჯნკლიტიკოსთა მისთა მისცეს ასი სოფელი მოსასყიდელად წმიდისა მიჰრონისა.

XVII. ხოლო ამისსა შემდგომად აღვიდა წმიდად ნინო მთასა მას, რომელი არს პირისპირ მცხეთასა, რომელსა ზედა დღეს შჴნ არს ჯუარი პატიოსანი, და მუნ ილოცვიდა და ევედრებოდა ღმერთსა. და ძირსა მის მთისასა წყალი აღმოაცენა და იქმნეს სასწაულნი და კურნებანი მრავალნი

წყლისა მისგან. ხოლო ხე მთისა მის, რომელი განბრწყინდა ნათლისა მისგან, შექმნეს ჯუარებად. მაშინ იხილ[ვ]ა სასწაული ესე ყოველთაგან მათ ერთ[ა] ქალაქისათა - გამოსჩნდის ჯუარი ცეცხლისად, შემოსილი ვარსკულავებითა, და ვიდრე ცისკრისა მოწევნადმდე დგის ზედა კერძო სუეტისა-ცხოველისა, და შემდგომად ცისკრისა განუტევნის ელვანი და წარვიდის ერთი აღმოსავალით და ერთი დასავალით, და ერთი იგი დაჯდის თავსა თხოთისასა, და ერთი იგი მიიწეოდის ბოდეს. ჯუარის სახე იგი დადგის წიაღ არაგუსა თავსა მის მთისასა, სადა-იგი წმიდამან ნინო წყაროდ აღმოაცენა. და ესე მრავალგზის იქმნა. და განკვრდა მეფე და ყოველი ერი. და აღაშენა მეფემან ერთი ეკლესიად თავსა მის მთისასა, სადა ჯუარი იგი დადგის, და ერთისად თხოთს, და დაასუენნეს ჯუარნი იგი: ერთი ჯუარს და ერთი თხოთს და ერთი ბოდეს. ხოლო ჯუარი იგი ვაზისად, რომელ მიიღო წმიდამან ნინო კელისაგან ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისა, არს ჯუარსა მას შინა, რომელ დაასუენნეს ჯუარსა პატიოსანსა. ესე ჯუარნი განწესებისაებრ მეფისა წარიყვანნა ღირსმან იაკობ, ფრიადითა სიმრავლითა ერისადთა და საკუმეველითა სულნელებითა, და დაასუენნა ადგილთა მათ. ხოლო სუეტსა მას წინაშე ცხოველსა აღესრულებოდეს სასწაულნი მრავალნი და არავინ იკადრებდა კართა განხუმად თვნიერ კვრიაკისა. ხოლო კვრიაკესა განახუნიან და მღდელთა შეწირიან საღმრთოდ მსხუერპლი და სნეულნი განიკურნებოდიან ურიცხუნი და ერი პირის-პირ მდგომარენი დგეს გარეშე და დიდ დიდი ზარი და ჳმანი ლაღადებისანი აქუნდეს და ევედრებოდეს ღმერთსა. კუალად ბრძანა მეფემან, რათა ერთი ეკლესიად აღაშენონ ერუშეთს, სადა-იგი არს ფიცარი ფერჳთა უფლისათად, და ერთი ეკლესიად მანგლის, რამეთუ არს მუნ სამსჭუალი უფლისად. ესრეთ წარემართებოდა მეფე სარწმუნოებითა და გლახაკთ-მოწყალებითა და მღდელნი და მღდელთ- მთავარნი განმრავლდებოდეს.

XVIII. ხოლო ნეტარმან ნინო იწყო ქადაგებად და თანაწარიტანა იაკობ მღდელი და დიაკონი და ერთი ერის- მთავარი ერთიურთ მისით და დადგა წობენს. და მოუწოდა მთეულთა, ქართლელთა და ფხოვნელთა და

უქადაგა სარწმუნოებად ჭეშმარიტი. ხოლო იგინი ლმობიერ იქმნეს და ნათელ იღეს, და დაღეწნეს საკერპონი და აღაშენნეს ეკლესიანი. და ამისა შემდგომად წარვიდა ერწოს და ჟალეთს და მოიყვანა იგინიცა სარწმუნოებად, და ნათელ იღეს მათცა. და მერმე ჩავიდა კახეთს და დადგა კაწარეთს და მოაქცივნა იგინიცა. მერმე გარდავიდა ქუჭლდაბას და მოუწოდა მთავართა კახეთისათა; ხოლო მათდა პირველვე უწყებულ იყო სარწმუნოებად ქრისტესი და ნათლისღებად მეფისად და სიხარულით შეიწყნარეს სწავლად მისი და მოიქცეს და ნათელ იღეს ჯელითა მისვე იაკობ მღდლისადთა, და მუნით მივიდა ბუდეს. და მოვიდა მისსა დედოფალი კახეთისად სუჯი და მის თანა მთავარნი და მკედრები და მონამკვევალთა სიმრავლე. და წარმოუთხრნა მას ქრისტეს საიდუმლოდსა განგებულებანი და ასწავა სიტყვთა ტკბილითა სარწმუნოებად ჭეშმარიტი და სასწაულნი იგი აუწყნა, რომელნი-იგი იქმნა ქალაქსა შინა მცხეთას სუეტისა ცხოველისა. ხოლო მათდა წინადაწარ უწყებულ იყო ყოველი. ხოლო მათ სიხარულით შეიწყნარეს სწავლად ნინოდსი და ნათელ-ილო დედოფალმან და ყოველთა მთავართა და მკვევალთა მისთა.

XIX. და ვითარცა ესრეთ სრულ ყო ქადაგებად მისი

ნეტარმან ნინო, და სრულ ყო ღუაწლი თვისი, ეუწყა სულისა მიერ წმიდისა განსლვად მისი ჯორცთაგან და მიწერა წიგნი მეფისა და მისცა დედოფალსა კახეთისასა სუჯის, რომელსა წერილ იყო ესრეთ: ”იესუმს ქრისტეს მონასა ერთგულსა და აღმასრულებელსა წმიდისა სამებისასა და თანა შეერთებულსა წმიდათა მეფეთასა მეფესა მირიანს! გარდამოგივლინოს ღმერთმან ცუარი წყალობისად ზეცით და ყოველსა პალატ-ბანაკსა ერისა შენისასა, და იყავნ მფარველ თქუენდა ჯუარი ქრისტესი და მეოხებად ყოვლად წმიდისა დედისა მისისად. რამეთუ აჰა მე ესერა მოვლე ზოგი რაიმე ამის ქუეყანისად და შეიწყნარეს ქადაგებად ქრისტესი და მოიქცეს და ნათელ- იღეს და თაყუანი-სცეს დამბადებელსა ყოველთა და შენდა ჯერ-არს სიხარული, რამეთუ დღეთა შენთა შინა მოხედნა ღმერთმან თვსთა დაბადებულთა და აღმოუბრწყინვა ნათელი თვისისა მეცნიერებისად. აწ დაიცევით მართალი სარწმუნოებად ქრისტესი,

რათა მის თანა სუფევდეთ საუკუნოდ სასუფეველსა ცათასა. რამეთუ მე აჰა ესერა, ვითარცა ერთი სოფლად შემოსრული, განვალ ცხორებისაგან და წარვალ გზასა მამათა ჩუენტასა; კსენებულმცა არს საუკუნოდ კეთილთა შინა ღმრთისათა დედოფალი სუჯი, რამეთუ მოვიდა ჭემმარიტსა ქრისტეს სარწმუნოებასა და დამუსრნა კერპნი და მოუძღვა და მოიყვანნა ერნი ღმრთისანი ღმრთის მსახურებად, და მოუწოდა ძმასა და ასულსა მისსა, და კუალად არტერეონ მთავარსა და ასწავა მართალი სარწმუნოებად, და ყოველთა ბუდეს შინა ნათელ-ილეს სახელითა მამისა და ძისა და წმიდისა სულისაჲთა. აწ წარმოგზავნეთ ჩემდა წმიდაჲ მამათ-მთავარი, რათა მომცეს საგზალი სულისაჲ საუკუნოდ, რამეთუ მოახლებულ არს აღსასრული ჩემი”.და მიიღო რაჲ წიგნი იგი ნინოჲსი დედოფალმან სუჯი, სურვილითა აღძრული თაყუანისცემისათჳს სუეტისა

ცხოველისა, თჳთ მოსწრაფედ წარემართა, რათა იხილოს და თაყუანის-სცეს ცხოველსა სუეტსა და ჯუარსა ცხოველსა და ყოველსა მას სიშორესა გზისასა ფრწივ ვიდოდა უჯამური და ცრემლითა დაალტობდა ქუეყანასა. და ვითარცა მოიწივნეს პირის-პირ სუეტისა ცხოველისა, იხილეს, რამეთუ წყალი იგი არაგჳ უმეტეს ზომისა დიოდა, რომელი ვერვინ მჯედართაგანმან წიაღვლო. არამედ რომელნიცა შთავიდიან, გარევე უკუნ იქციან დაყენებულნი სიმძაფრისაგან წყლისა მისგან დიდისა. ხოლო ვითარცა იგი პეტრე მიმავალი უფლისა წყალთა ზედა ვიდოდა, ეგრეთვე ამან დედაკაცმან, სავსემან სარწმუნოებითა ქრისტესითა და სურვილითა სუეტისა ცხოველისაჲთა, მინდობილმან სარწმუნოებასა მას მარცუალსა მდოგჳსასა, აღიბეჭდა თავი თჳსი ჯუართითა ქრისტესითა და აღწდა ჰუნესა. ხოლო ხედვიდეს იმიერ კერძო მთავარ-ეპისკოპოზი იოვანე და ყოველი ერი. და ვითარცა შევიდა წყალთა მათ შინა, მართლ უკუნ იქცა ამიერ და იმიერ წყალი იგი, ხოლო იგი განვიდა მშჳდობით. მაშინ მოეგება მას მეფე და მთავარ-ეპისკოპოზი, ყოველნი ერნი შეპყრობილნი შიშითა და საკჳრველებითა და შევიდეს ეკლესიად წინაშე სუეტისა ცხოველისა და ილოცა ცრემლითა მჯურვალითა და შეწირა თავი თჳსი

შვილითურთ და ყოველი მონაგები თვისი და ქალაქიცა იგი მცირე ბართანი და დაბად დიდი ბუდისი და იხარებდა სულითა. მაშინ გამოიღო წიგნი იგი ნეტარისა ნინოდისი და მისცა მეფესა. და წარიკითხა რად იგი [მეფემან], აღივსო ცრემლითა და აღდგა და თანაწარიტანა მთავარ-ეპისკოპოზი და დედოფალიცა ნანა. და ვითარცა მიიწივნეს და მოიკითხეს, მან მისცა მათ კურთხევად უფლისა-მიერი. ხოლო წმიდად ნინო შეპყრობილ იყო სწეულებითა და უბრძანა იოვანეს წირვად ჟამისად. ხოლო მან შეწირა მსხუერპლი უფლისა და აზიარა ჯორცსა და სისხლსა ქრისტესსა, რომელი-იგი წარიძლუნა მან საგზლად საუკუნოდ. და შეჰვედრა სული თვისი ჯელთა ღმრთისათა და წარვიდა საუკუნეთა კეთილთა. ესრეთ შემკული მოციქულობისა მადლითა და ბრწყინვალე ქალწულებითა და განშუენებული სიმრავლითა ღუაწლთადათა და აღტვრთული ტალანტთა სიმრავლითა, წარმოუდგა წმიდასა სამებასა და მიართუნა ძღუნად სიმრავლენი ერთანი და ღუაწლთა მიერ განკაფული სოფლისა ამისგან სუფევად საუკუნოდ აღვიდა ოცდამეათხუთმეტესა წელსა ქართლს შემოსლვასა მისისასა. ხოლო დასაბამითგანთა წელთა ხუთიათას რვაას ორმეოცდა მეთუთხმეტესა.

მაშინ მოვიდა მეფე და ყოველი ერის[ა] სიმრავლე გუამისა მიმართ მისისა დავრდომით და გოდებით, შიშით და ძრწოლით შეუვრდებოდეს. და სიმრავლისაგან ერნი დათრგუნვიდეს ფერჯითა ურთიერთ[ა]ს და სწეულნი განიკურნებოდეს, რომელნი შეეხნეს ფესუსა სამოსლისა მისისასა. ხოლო მეფემან ძლითა დააცხრო შფოთი იგი ერისად და განიზრახა, რათა გუამი მისი აღიყვანოს და დაჰკრძალოს მახლობელად სუეტისა-ცხოველისა. და ვითარცა ჯელ ყვიან აღებად გუამისა მის წმიდისა, ჯელნი მათნი უქმ იქმნიან და ყოვლად ვერ უძლიან შეძრვად. მაშინ გულისჴმა-ყვეს და დაჰკრძალეს მასვე დაბასა შინა ბუდეს და ეკლესიად აღუშენეს და ეპისკოპოზი განაჩინეს მას ზედა. ესრეთ პატივით და კრძალულებით პატივ-სცეს წმიდასა და ნეტარსა მოციქულსა და განმანათლებელსა ქართლისასა, კახეთისა და ჰერეთისასა, სამგზის სანატრელსა ღმრთივდიდებულსა ნინოს. ხოლო შემდგომად წმიდისა

ნინოს ცხორებად საუკუნოდ მისთვის მეფემან კეთილად წარჰმართა ღმრთის-მსახურებად და იქცეოდა სიმდაბლითა, სიმშვიდითა, გლახაკთ მოწყალებითა, და მღდელთა პატივ-სცემდა და ეკლესიათა აშენებდა. და ესრეთ სათნოდ ღმრთისა მიიცვალა და დაჰმარხეს მის მიერ აღშენებულსა ეკლესიასა სამთავროს. შემდგომად მისსა ძემან მისმან რევ მიიღო მეფობად და მანცა ყოვლითა მოშიშებითა აღასრულა მეფობად მისი და იგიცა წარვიდა კუალსა მამათა მისთასა, შემკული ღმრთისა სათნოებითა. მათ დღეთა შინა მოვიდა ვინმე დედაკაცი შერაცხილთაგანი ქალაქით ეფესოთ თაყუანის ცემად წმიდათა ადგილთა იერუსალიმისათა და განყოფად ქველის საქმისა. და ვითარცა მოილოცნა, კუალად წარემართა ქუეყანად თვსად. ხოლო ღამესა მას გამოუჩნდა ღირსსა ნინოს ძილსა შინა წმიდად ღმრთისმშობელი და ჰრქუა: "წარვედ ქუეყანად ჩრდილოეთისა და უქადაგე სახარებად მისა ჩემისად, და ჰპოო შენ მაღლი წინაშე ღმრთისა, და მე ვიყო მფარველი და კელის ამპყრობელი შენი". ხოლო იგი ეტყოდა შეძრწუნებული: "დედოფალო, ვითარ შესაძლებელ არს ეგე ჩემ მიერ? რამეთუ მე დედაკაცი ვარ უნდოდ და უსწავლელი, ანუ რად იყოს სასწაულად საქმისა ამის?" მაშინ წმიდამან დედოფალმან კელი მიჰყო ზედა კერძო ცხედრისა მისისა მყოფსა მას რტოსა ვაზისასა და მოჰკუეთა მისგან და შექმნა ჯუარი და მისცა კელთა ღირსსა ნინოს და ჰრქუა: "ესე იყოს მცველი შენი და ამით სძლო ყოველთა წინააღმდეგომთა შენთა, და წარემართოს ქადაგებად შენი, და მე ვიყო შენ თანა და არა დაგიტეო შენ". ესე რად იხილა, განიღვძა და აქუნდა ჯუარი იგი კელთა მისთა. და ვითარცა განთენა, წარვიდა და ყოველი ესე მიუთხრა პატრიაქსა და უჩუენა ჯუარიცა იგი, და პატრიაქი განკრთომი[ლი] <და> მაღლობდა ღმერთსა. და ჰრქუა წმიდამან ნინო პატრიაქსა: "წარმავლინე, მამაო, ვითარცა ბრძანებულ არს ჩემდა საღმრთოდსა მიერ ბრძანებისა". და ევედრა, რათა თანა წარიგზავნოს დედაკაცსა მას მთავრისასა, რომელი წარვიდოდა ეფესოდ. მაშინ წმიდამან პატრიაქმან, დედის ძმამან მისმან, წარიყვანა წინაშე ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა საფლავსა და დაასხნა კელნი ესრეთ მეტყუელმან:

”უფალო ღმერთო ჩუენო, შემოქმედო ცათა და ქუეყანისაო და დამბადებელო ყოველთა ხილულთა და უხილავთაო! შენ შეგვედრებ ობოლსა ამას დისა ჩემისასა და წარვაგლინებ ქადაგებად ღმრთეებისა შენისა, სადაცა ჯერ იჩინოს შენმან სახიერებამან, და შენ წარუძელუ და იქმენ თანამოგზაურ ამისსა და შეზღუდე ესე წმიდითა სულითა შენითა, რათა უშიშად ვიდოდის შორის ასპიტთა და იქედნეთა და მიუთხრობდეს ჭეშმარიტებასა ღმრთეებისა შენისასა, რამეთუ დიდებულ ხარ უკუნისამდე. და შენ, ყოვლად წმიდაო დედოფალო ღმრთისმშობელო, სასოო ყოველთა შენდა შევედრებულთაო, რომელი ესე გამოირჩიე მსახურებად დიდებისა შენისა, მარადის გარე შეიცევ ოხითა შენითა, რამეთუ აჰა ესერა წარვაგლინებ მინდობითა წყალობათა შენთა ურიცხუთა”. და ვითარცა ესე წართქუნა, წმიდამან ნინო მიიღო პატრიაქისაგან კურთხევად და დაიწერა ჯუარი და წარმოემართა დედაკაცისა მის თანა.

VII. და ვითარცა მიიწივნეს ეფესოდ, შეემთხვნეს დედაკაცსა ვისმე მთავარსა, სახელით [რიფსიმეს], რომელსა სუროდა სარწმუნოებისა მიმართ მოსლვა საღმრთოდსა და წმიდისა ნათლისღებისა. მაშინ იწყო სწავლად ნეტარმან ნინო, განწმედა[დ] და მოძღურებად მისსა და ეტყოდა ყოველთა განგებულებითა ქრისტესითა. ხოლო ნეტარმან მან დედაკაცმან, ვითარცა ქუეყანამან, შეიწყნარა თესლი სიტყუათა მისთად და ნათელ იღო სახელითა მამისა და ძისა და სულისა წმიდისაჲთა. და წარიყვანა მის თანა ღირსი ნინო და იყოფვოდა სახლსა შინა მისსა და ჰმოძღურიდა და ასწავებდა სჯულსა და მცნებათა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესთა.

VIII. ხოლო მას ჟამსა შინა ინება დეოკლიტიანე, რათა იძიოს ყოვლით კერძო ქალი ქმნულ-კეთილი, რათა შეირთოს იგი ცოლად. და წარგზავნნა ყოვლით კერძო მეძიებელნი და მხატვარნი, რათა სადაცა ჰპოებდენ ქალსა ქმნულ-კეთილსა, დახატვისა მიერ აუწყონ მას. ხოლო ერთკერძონი იგი მიიწივნეს რად ეფესოდ, ეუწყა რიფსიმესთჳს სიკეთე და შუენიერებაჲ პირისა მისისაჲ და ვითარცა იხილეს, გამოხატეს იგი და წარგზავნეს

წინაშე მეფისა. და ვითარცა იხილა ხატი იგი, აღეგზნა სიყუარულითა მისითა და მსწრაფლ წარავლინნა ჰუნენი და თანად შესამოსლები და სამკაულნი თითო სახენი და უწინადაწარნა აღმოყვანებად რიფსიმესი.

და ვითარცა მიიწივნეს იგინი [ეფესოდ], ეუწყა რიფსიმეს მისლვად მათი. შეუძნდა და თქუა გულსა შინა თვსსა: ”არა განვსცვალო დიდებად იგი საუკუნოდ წუთ ერთისა ცხორებისათვს და არ[ც]ა-ღა განვახო გული ჩემი სასძლოსა ზეცისასა და არცაღა შევაგინო წმიდად ნათლისღებად შეუღლებითა უღმრთოდსა მის მძლავრისადთა და არცა ვეცრო უფალსა ჩემსა ქრისტესა”. და ჰრქუა გაიანეს, დედა-მძუძესა მისსა: ”მე წარვალ ამიერ უცხოებად, რამეთუ არა მნებავს საქმე ესე უჯეროდ”. ხოლო იგი ეტყოდა: ”უკუეთუ შენ წარხვიდე, ჩუენ სასჯელი წინა გვც უკეთურთა მათ კაცთაგან, არამედ წარმოვიდეთ ჩუენცა შენ თანა”.და ესე რად განიზრახეს, მას ღამესა მეოტ იქმნეს და მათ თანა იყვნეს სხუანიცა სახლეულნი დედანი, რომელთა რიფსიმეს-ვე თანა ნათელ ეღო, და ღირსიცა ესე წმიდად წინო მათ თანავე მეოტ იქმნა.

IX. და ვითარცა მოიწივნეს სომხითად, სამეფოსა თრდატისსა, დაიმაღნეს საწნებელთა შინა. და ვითარცა ცნა ესე დეოკლიტიანე, შეუძნდა ფრიად, და მიწერა თრდატისა, რათა იძიოს იგი და ძლუნად დიდად მიუძღუნოს იგი.ხოლო თრდატ მოსწრაფებით იწყო ძიებად, და ეუწყა ყოფად მათი საწნებელთა შინა და ბრძანა მიყვანებად მათი მის წინაშე. და ვითარცა მიიყვანნეს მის წინაშე წმიდანი იგი დედანი, და ვითარცა იხილა რიფსიმე, აღეგზნა ტრფიალებითა თრდატ და ჰლიქნიდა მას, რათა იქმნეს იგი ცოლად მისა. ხოლო წმიდამან რიფსიმე მიუგო და ჰრქუა: ”უწყია, უფალო მსაჯულო, მე ზეცისა სასძლოდსა სძალი ვარ, და შენ, ვითარ იკადნიერებ ამას?”მაშინ თრდატ, ვითარცა ვერა აღასრულა ნებად თვსი, მისცა ტანჯვად და სიკუდილად წმიდანი იგი დედანი. ხოლო წმიდად წინო განემორა განგებითა ღმრთისდთა, განერა ჰელთა მათგან და ივლტოდა, და მივიდა ულოპოროს და მუნ დაიზამთრა.

X. და ვითარცა მოიწია ზაფხული, აღმოვიდა მათთა ჯავახეთისათა და მიემთხვა ტბასა, რომელსა ეწოდების ფარავნად. და მიიღო საზრდელი

მეთევზურთაგან და ჰმადლობდა ღმერთსა. ხოლო იყვნეს მათვე ადგილთა მწყემსნი და იკითხვიდა მათგან ვინაობასა და სადაობასა.

ხოლო მათ მიუგეს: "რომელნიმე ქინჯარელნი და სხუანი საფურცლით, და რომელნიმე ქალაქისაგან მცხეთისა". და ვითარცა ესმა ჯსენებად მცხეთისაჲ, ფრიად ნუგეშინის ეცა. და კუალად მიხედნა და იხილნა მთანი ჩრდილომსანი ჟამსა ზაფხულისასა სავსენი თოვლითა. შეძრწუნდა და ილოცვიდა და მოადინნა ცრემლნი. და მერმე მიიღო ქვაჲ და დაიდვა სასთუნალ და მიწვა განსუენებად. და ვითარ მიიძინა, წარმოუდგა მას კაცი ბრწყინვალე ხილვითა და მისცა წიგნი დაბეჭდული და ჰრქუა: "აღდეგ და მიაართუ წიგნი ესე მეფესა წარმართთასა მცხეთას!" ხოლო მან ცრემლით მიუგო: "უფალო, მე დედაკაცი ვარ უცხოჲ და ვიდრე ვიდე უცხოთა ნათესავთა თანა?" და განჯსნა წიგნი იგი. დაწერილი იყო ჰრომაულად სახელი იესუმსი, და იტყოდა, რამეთუ: "არა არს მამაკაცი და არცა დედაკაცი, არამედ თქუენ ყოველნი ერთ ხართ ქრისტეს მიერ, წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და

ასწავებდით მათ, რამეთუ ნათელი გამობრწყინვებად არს მათ ზედა. და სადაცა იქადაგოს სახარებაჲ ესე, მუნცა ითქუმოდის დედაკაცი ესე". და ვითარცა განიღჳდა ჩუენებისა მისგან, აღდგა და აღიპყრნა ჳელნი თჳსნი და მყოვარ ჟამ ილოცა. და კუალად მოდრკა და ცრემლითა

ქუეყანასა დაალტობდა და ყოველთა შესავედრებელსა წმიდასა ღმრთისმშობელსა ევედრებოდა და იტყოდა: "ჴ ყოვლადქებულო და დიდებულო ღმრთისმშობელო! რომელმან უხრწნელებით ჰმევ ცხორებად კაცთა მოსრული წმიდაჲ იგი წმიდათაჲ, სიტყუად ღმრთისაჲ,

შეიწირე ვედრებაჲ უღირსისა მჳევლისა მონისა შენისაჲ

და შემწე და ჳელის ამპყრობელ მექმენ საცთურთა ზედა

მტრისათა. აჳა ესერა ბრძანებისაებრ ძისა შენისა წარვემართები მე ქებად სახელისა მისისათჳს წმიდისა, წარმიძელუ და მასწავე სიტყუად ჳეროვანი და მოხედენ

და შეიწყალე ერი განწირული, რომლისათვის დასთხია

პატოსანი სისხლი თვისი ქრისტემან, ძემან შენმან და

ღმერთმან ჩუენმან”.და ვითარცა სრულ-ყო ლოცვად, განათლდა გონებად მისი მადლითა ქრისტესითა და ყოვლად წმიდისა მარადის

ქალწულისა მარიამისადათა და უშიშითა გონებითა წარემართა.

XI. და ვითარცა იწყო სლვად, მიემთხვა კაცთა თ[ან]ა

მოგზაურთა და შეუდგა გზასა ქართლისასა, და მივიდა

ქალაქსა ურზნისსა. და იხილნა კაცნი კერპთ-მსახურნი, და შევიდა ბაგინსა ურიათასა, რამეთუ უწყოდა ენად ბერძული და ებრაული.

ამისსა შემდგომად, დღესა ერთსა, წარემართნეს სიმრავლენი ერთანი მიმავალნი ქალაქად მცხეთისად,თაყუანის-ცემად ღმრთისა მათისა არმაზისდა, და მათ თანა წარვიდა წმიდად ნინო. და ვითარცა მიიწია მცხეთას,დადგა იგი წინა კერძო ჳიდისა მის და ხედვიდა ერისა მის

სიმრავლესა, რომელნი დაბნელებულ იყვნეს საცთურითა მით კერპთმსახურებისადათა, და ცრემლოდა ცთომილებისათვის მათისა. ხოლო ხვალისა დღე დასცეს საყვრსა და აღიძრა სიმრავლე ურიცხვ და ფერად-ფერადად შემოსილნი გამოვიდეს ქალაქით. და ვითარ მიჰრიდა ერმან, გამოვიდა ნანა დედოფალი და ფოლორცნი შეემკუნეს თითო ფერთა სამოსლითა. და შემდგომად მისსა გამოვიდა მეფე მირიან და იქმნეს ჳმანი ეზნებისა და ნესტუებისანი. მაშინ ჳკითხა ღირსმან ნინო დედაკაცსა ჳურიასა: ”რადსათვის არს ზარი ესე და ჳმანი ნესტუსანი?” ხოლო მან ჳრქუა, ვითარმედ: ”ღმრთისა მათისა თაყუანის-ცემად აღვლენ, რომელი არა რად არს სხუად, გარნა კერპი უსულოდ”. მაშინ აღვიდა ნეტარი ნინოცა მათ თანავე. და აღივსნეს მათანი იგი სიმრავლითა ერისადათა. და ხედვიდა საკვრველებასა მას მეფისა და ერისასა და საოცრებასა მას

კერპისასა განიცდიდა. [რამეთუ] დგა კაცი სპილენძისაჲ და ემოსა ჯაჭვი ოქროსაჲ და სამკრენი ოქროსანი, და თავსა ებურა ჩაფხუტი ოქროსა, და აქუნდეს თუალად მისსა ქვანი ბივრიტი და იაკინთი, და ჳელთა აქუნდა ჳრმალი, და ვითარცა ელვად იქცეოდა ჳელთა შინა მისთა,

და რომელიცა მიეახლის, სიკუდილად წარიწირის თავი თჳსი. და რომელნიმე მათგანნი იტყოდინ: ”ნუუკუე და აკლს მსახურებაჲ რადმე, ანუ ეზრახა ებრაელსა ვისმე თანა”. და სხუანი იტყოდეს: ”ნუუკუე უცნაური იგი ღმერთი ზეცათაჲ მოიგონა, ანუ მზისა ღმერთად წოდებასა დახუდა”. ესრეთ აოცნებდა შორის მისსა მყოფი ეშმაკი. ხოლო მარჯუენით კერძო უდგა კაცი ოქროსაჲ და სახელი მისი გაცი, და სხუად ერთი მარცხენით -ვეცხლისაჲ, და ეწოდა მას გატი.ესე ყოველი იხილა რად ნეტარმან ნინო, სულთ-ითქუნა და ცრემლოოდა სრულიად სიბრმისათჳს მათისა, რომელ მეფე და ყოველი ერი ერთბაჲად მათ ღმერთად აღიარებდეს კერპთა უსულოთა. წარვიდა მცირედ და

დადგა კლდისა რადმე ძირსა და აღიპყრნა ჳელნი ზეცად და ილოცვიდა და იტყოდა: ”უფალო იესუ ქრისტე,ღმერთო ჩუენო და შემოქმედო ყოველთაო, რომელი ცხორებისათჳს ჩუენისა კაც იქმენ და ხატი მონისაჲ

შეიმოსე, რათა აცხოვნო რომელ ჳქმენ ხატად შენდა და იკსენ მძლავრებისაგან ეშმაკისა ბნელისა, რომელსა მხოლოსა გნებავს ყოველთა ცხორებაჲ და მეცნიერებასა ჳქმმარიტებისასა მოსლვად შენ, უფალო, ისმინე ვედრებაჲ უღირსისა მონისა და მჳევლისა შენისაჲ და აჩუენე ძლიერებაჲ შენი ჟამსა ამას, და ყავ სასწაული,რათა პოონ ერთა ამათ მცნებაჲ შენი. და შენ მხოლო გიცნან ღმერთად ჳქმმარიტად და შენდა შესწირვიდენ დიდებასა”. მაშინ, ვითარცა სრულ ყო ლოცვად, მყის გამოჩნდა დასავალით ღრუბელი ბნელი და აღდგეს ქარნი ძლიერნი და იქმნნეს ქუხილნი სასტიკნი და ჳმანი საზარელნი და მეხისტეხანი შესაძრწუნებელნი, რომლისა მიერ მეფე და მთავარნი და ერი იგი ურთიერთას დასთრგუნვიდეს და თითოეული ქალაქად მირბიოდა. ხოლო ადგილსა მას, და

კერპთა ზედა მოიწია სეტყუად თხრობად განსაკვრვებელი, ვიდრემდის სრულიად დამუსრნა კერპნი იგი და ზღუდე და ყოველი შენებულება დაარღვა და უჩინო ყო. ხოლო აწ ძირსა მის მთისასა შენ არს ეკლესიად წმიდისა ღმრთისმშობელისაჲ. ხოლო ნეტარი ნინო ჟამსა მას საშინელსა ღმრთისა მიერთთა მადლითა უვნებელად დაიცვა. და ვითარ განწმდა ჰაერი, წარმოვიდა წინა კერძო დასავალსა კლდისასა და პოვა ხე შეუნიერი და გამოსახა მას ზედა ჯუარი და ექუს დღე დაადგრა მუნ და ილოცვიდა დღე და ღამე. ხოლო ერისა სიმრავლე კუალად განვიდა ხილვად ადგილისა მის, სადა დგომილ იყო არმაზ კერპი. და იხილეს რაჲ ადგილი იგი, დაუკვრდა და იტყოდეს სიტყუათა სიცოფისათა ესრეთ: "მტერ არს ღმრთისა ჩუენისა არმაზისა ღმერთი იგი ქალდეველთაჲ და ურთიერთას მძლავრობენ, და ესე ყოველი მის მიერ მოიწია". მაშინ მივიდა ერთი წარჩინებულთა მკვევალთაგანი, სახელით შრომანა, და იხილა აჲმან წმიდაჲ ნინო მუნ ესრეთ მყოფი, განკვრდა და კითხვიდა ვინაობასა. და ვითარცა ზედამიწევნით ისწავა მიზეზი მუნ მისლვისა მისისა, ფრიადითა ცრემლითა აღვსებული მის თანა წარსლვასა ეტყოდა წინაშე დედოფლისა. ხოლო მან არა ინება მის თანა წარსლვაჲ, არამედ შემდგომად სამისა დღისა შევიდა ქალაქად და მიჰმართა წალკოტსა მეფისასა და პოა მუნ მცირე სახლი, რომელსა შინა იყოფებოდა დედაკაცი, სახელით ანასტოს, და აღდგა და მიეგება მას და შეიტკბო ვითარცა მეცნიერი, დაჰბანნა ფერკნი და სცხო ზეთი და მოართუა საზრდელი და ცხრასა თუესა იყოფებოდა მის თანა.

XII. ხოლო დედაკაცი იგი იყო უშვილო და ფრიად მწუხარე იყო ქმარი მისი. და ღამესა ერთსა იხილა ნეტარმან ნინო კაცი ბრწყინვალე, რომელმან ჰრქუა: "შევედ სამოთხესა მაგას ხესა ქუემე ყუავილოვანსა და აღილე მიერ მიწაჲ და აჰამე კაცსა მაგას და იქმნეს შვილიერ". ხოლო მან ყო ეგრეთ, და შემდგომად ამისსა ესხნეს ძეგბ და ასულეგბ. და იხარებდა კაცი იგი. ხოლო ხე იგი იყო კვპაროზი და ქუემე მისსა მრავალფერი

ყუავილი. და კუალად იხილა ღირსმან მან ჩუენებით, რამეთუ მოვიდიან მფრინველნი და განიბანნიან წყალსა მას შინა მდინარესა მტკურისასა და [აღ]მოვიდიან და ხესა მას ზედა შე[ი]კრიბიან და ქუეშე მისსა ყუავილთა მოისთულებდიან. მაშინ მიუთხრა ჩუენებად ესე შროშანასა და ასულსა აბიათარ მღუდლისა ურიისასა. პირველად შემცნებულსა და იმის მიერ ჭემმარიტისა გზისა მომპოვნებელსა, რამეთუ უწყოდა მან წიგნი

ძ[უ]ელისა სჯულისა და გამოუთარგმანებდა მას ღირსი

ნინო მოსლვისათვს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტეს საღმრთოთა წიგნთაგან მოსესსა და წინადაწარმეტყუელთასა. და მამად მისი, აბიათარ მღდელო-მოდღუარი იყო ჰურიათად და ფილოსოფოსობითა შემკულ, რომელმან-იგი ფრიად ილუაწა ჭემმარიტებისათვს ნინოდს თანა, რომელი-იგი ჟამსა თვსსა მიგითხრა. ხოლო ვითარცა წმიდამან ნინო ჩუენებად იგი მიუთხრა, სიდონია აღიდრა ცრემლით და თქუა: “ყოვლად უცხოო და შორით მოსრულო და ჩუენდა მომართ საღმრთოო ნიჭო!

შენ მიერ ეგულების შემოქმედსა განათლებად სულთა ჩუენთად და შენ მიერ იცნან ღმერთი ყოველთა ერთა, და რომელნი არიან ტყუეობასა შინა ეშმაკისასა, ადრე განთავისუფლდენ”. ესრეთ აღუქსნა ჩუენებად იგი კეთილმან მან დედაკაცმან. ხოლო ნინო წარვიდა მაყუალთა მათ შინა, რომელნი-იგი დგეს შორის სამოთხესა მას მახლობელად კვპაროზთა მათ, რომელნი-იგი სახედ ტალავრისა გარდაფენილ იყუნეს და ჰფარვიდეს მას, და მუნ შინა აღასრულნის ლოცვანი თვსნი. ამათ მაყუალთა შინა შევიდა ღირსი ნინო და აღიპყრნა ჳელნი და მადლობად შეწირა ღმრთისა და ილოცა, რათა მისცეს მას მეცნიერებად ღმრთეებისა მისისად. ხოლო იყო მოქალაქობად მისი და მოღუაწებად ცრემლითა ლოცვად და საწადელ და საშუებელ მარხვად, და სამოსელი მისი დაბებკული ბალნისად და სარეცელი ძუელ, დარეცილი მიწასა ზედა. ესევეითართა მოღუაწებითა დაადგრა

ადგილთა მათ შინა ექუს წელ მრავლითა მოლუაწებითა.

და დღესა ერთსა იხილა სამოთხისა მის მოლუაწისა,

რომლისა ძე სნეულ იყო. ხოლო მან აღიქუა საყუარელი იგი ძე მისი და მიჰგუარა წმიდასა ნინოს და ევედრებოდა განკურნებად. ხოლო ღირსმან მან ღმრთისა შეწევნასა მოუწოდა და სარეცელსა თვისსა მიაწვინა და ქრისტეს-მიერი ჯუარი ზედა გამოსახა, და ილოცა რად, მყის აღდგა ყრმად იგი მრთელი და უვნებელი და მისცა იგი მამასა მისსა. და კუალად [ა]სული დედაკაცისა ვისიმე ვნებულიგანკურნა. და მიიწია ჰანბავი ესე წინაშე დედოფლისა და ვინაფთგან იგიცა ესევეთართა სენითა შეპყრობილ იყო,მეყსეულად მიავლინა მისსა ვედრებით, რათა მივიდეს მისსა. ხოლო ღირსმან მან პატივისამან სამეუფოდ იგი ბრძანებად არად მიითულა, რამეთუ მდაბალ იყო გონებითა. ხოლო სენთა მათგან ფიცხელთა შეპყრობილმან იძულებით ზუაობითი მეფობისა პატივი დაუტევა დედოფალმან, და უცხოდა მის და მდაბლისა მირბიოდა. ვითარცა მიიწია იგი წმიდისა მის, კურნებასა ევედრებოდა. ხოლო იგი ეტყოდა: ”ჟ დედოფალო! ძე დედაკაცი ვარ უცხო და უნდოდ ჯორცთა შინა მყოფი და არა ძალ მიც კურნებად გარნა თაყუანის ვსცემ და ვქადაგებ, რომელი-იგი არს დამბადებელი ყოველთად და მკურნალი სულთა და ჯორცთად. და უკუეთუ თაყუანი სცე მას და ღმერთად აღიარო, უეჭუელად მიემთხვო კურნებასა”. და დედოფალი ეტყოდა: ”უკუეთუ განვიკურნო, ყოველი იგი დაუტეო ცთომად, და ვითარცა მრქუა შენ, ვყო ეგრეთ”. ხოლო ნეტარმან ნინო მიაწვინა ცხედარსა ზედა თვისსა და აღიპყრნა ჰელნი და ილოცვიდა ესრეთ მეტყუელი: ”უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩუენო, რომელმან შეხებითა სამოსლისა შენისაფთგან განჰკურნე წიდოვანი იგი დედაკაცი, ეგრეთვე მოვედინ წყალობად შენი და მადლი შეწევნისა შენისად გარდამოგვვლინე ჩუენ ზედა”. და ესრეთ რად ილოცა, ყოველითურთ განკურნებული წარავლინა სახედ თვისად

და იხარებდა. ხოლო დედოფალმან იხილა რად მსწრაფლი იგი კურნებად მისი, ფრიადი სასყიდელი მიაართუა ნაცვლად კურნებისა. ხოლო ღირსმან ნინო ჰრქუა: ”ესე ჩემდა არად საკმარ არს აწ, რამეთუ ზეცისა ნიჭთა და პატივთა მოველი, და თუ გნებავს შენ სრული კურნებად,თაყუანისეც ღმერთსა შემოქმედსა შენსა და დამბადებელსა ყოველთასა”. და შემოიხუნა შორის საღმრთონი სწავლანი, ვითარნი ჯერ იყვნეს მითხრობად ჟამსა მას.ხოლო დედოფალი ღმობიერ იქმნა და განკვრდა ტკბილთა მათ სწავლათა ზედა ნინოდსთა და განათლებული გონებითა სახედ თვსა მიიქცა, და აუწყა მეუღლესა თვსსა მსწრაფლი იგი კურნებად და ძალი იგი ღმრთისად მის, რომელსა ქადაგებს უცხოთ იგი. და ვითარცა ესმინნა მისგან, აუწყა, და ევედრებოდა, რათა იგი მხოლოდ უწყოდა უფლად ჭემმარიტად. ხოლო მეფემან მირიან მეუღლესა ზედა თვსსა ქმნილი იხილა ღმრთისა საკვრველებად და დაუკვრდა ფრიად ესრეთ მეყსეულად განკურნებად მისი და უვნებელობად. კუალად სხუასა ჟამსა მცირე ძე მეფისა შეპყრობილ იქმნა ფიცხლად სენითა მჭურვალეებისადთა, რომლისა უბრძანა დედოფალმან, რათა მიჰგუარონ ღირსსა ნინოს და ევედრებოდა განკურნებად მისა. ხოლო წმიდამან ჩუეულებისაებრნი ლოცვანი ზედა დაასხნა და ვედრებად შეწირა უფლისა და ყოვლითურთ განკურნებული მისცა დედასა თვსსა. ამისსა შემდგომად დაემოწაფა დედოფალი ნანა ღირსსა ნინოს სხუათა თანა წარჩინებულთა მკვევალთა მისთა. და მარადის ისმენნ სწავლათა მისთა და მოძღურებათა. და ვითარცა სასწაულნი იგი დღითი დღე აღესრულებოდეს წმიდისა მის მიერ და განითქუმოდეს ურიცხუნი იგი კურნებანი. და კუალად მთავარი ვინმე სპარსი მოვიდა მეფისა, სახელით ხუარა, რომელი-იგი იყო დედის ძმად დედოფლისად. ესე ვნებულ იყო სულისაგან ბოროტისა და ფრიად იგუემებოდა მრავლით ჟამითგან და ევედრეოდა განკურნებად ღირსსა ნინოს. ხოლო მეფემანცა მიუმცნო ურწმუნოებით და ორგულებით და ჰრქუა: ”რომლისა ღმრთისა ძალითა ჰყოფ შენ კურნებათა? ნუუკუე ხარ შენ ასული არმაზისი ანუ

შვილი ზადენისი? და ვინააფთგან უცხოებით მოხუედ,

მოგანიჭეს შენ ძალი კურნებისა, დაღაცათუ ჰაერთაგან შეიმუსრნეს, გარნა ეგრეთცა ცხოველ არიან. აწ უკუე ვინააფთგან ფრიად პატივცემულ არიან ღმერთნი ჩემნი, და უკეთეს სხუათა ყოველთა ღმერთთა, თაყუანის-ეც მათ, და უკუეთუ ჰყო ესე, მრავალი სიმდიდრე მიიღო ჩემგან, და იყო ყოველთა მიერ სახელოვან და დიდ ამას ქალაქსა შინა ჩემსა”. ხოლო ნეტარმან ნინო მიუგო და ჰრქუა: ”შენ უკუე, მეფე, ცხოვნი სიტყვთა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომელი-იგი არს შემოქმედი ცათა და ქუეყანისა და ყოველთა დაბადებულთა, რომელმან-იგი გამოაბრწყინვოს ნათელი ჭემმარიტი გულსა შინა შენსა, რომელი-იგი მაღალთა შინა მყოფ არს და მდაბალთა ხედავს; რომლისა ჰელთა შინა არს სული ყოველთა და ცხოვრება და სიკუდილი. და ვესავ მას, რამეთუ ახლოს არს მოქცევა და შენი მისსა. და შენ არა უწყი მეფეო, რამეთუ არს ქალაქსა ამას შინა შენსა სამოსელი უფლისა მის ჩუენისა იესუ ქრისტესი და მით იქმნებიან სასწაულნი ესე და კურნებანი და ძალნი და სხუანი ურიცხუნი ყოფად არიან და განიკურნოს მთავარიცა ესე სახელითა მისითა წმიდითა”. მაშინ მიიყვანეს მთავარი იგი და თანა მიჰყვა დედოფალიცა და შეიყვანა იგი ხეთა მათ ქუეშე კვპაროზთა და ჰრქუა ნეტარმან ნინო: ”უკუეთუ გრწამს უფალი იესუ ქრისტე, ჭემმარიტი იგი ღმერთი, განთავისუფლდე ვნებისა მაგისგან შენისა”. ხოლო მან მიუგო: ”მრწამს, რომელსა-იგი შენ ესავ, ოდენ შემძლებელ არს იგი განკურნებად ჩემდა”. მაშინ წმიდამან უბრძანა სამგზის თაყუანისცემად აღმოსავალით და აღსაარებად სახელსა წმიდისა სამებისასა. და მერმე მიაქცია დასავალით და ესე წართქუჴმია: ”ვიჯმნი შენგან, ეშმაკო, და ყოველთა საქმეთა შენთაგან!” და მიხედა მას თუალით და თქუა: ”შეგრისხენ უფალმან ეშმაკო!” და მეყსეულად ივლტოდა მისგან ეშმაკი და განთავისუფლდა ვნებისა მისგან. ხოლო ცნა რა და მეფემან, ვითარმედ ქრისტესა ათაყუანა მთავარი იგი, განრისხნა და ბორგდა ფრიად ნინოდსთჴს

და ნანა დედოფლისა. და აღდგა და განვიდა ნადირობად და იტყოდა: "შემო-რად-ვიქცე, შური ვიძიო მათგან შეურაცხებისათვის ღმერთთა ჩემთადას". და ვითარცა განვიდა იგი მთასა ზედა თხოთისასა, ჟამსა სამხრისასა დაუბნელდა მას განგებულებითა ღმრთისადათა, ვითარცა იგი პირველ პავლეს. და ვითარცა ვერ შემძლებელ იყო იგი სლვად, კმობდა იგი მონათა მიმართ და მთავართა, ვითარმედ: "დაბნელდეს თუალნი ჩემნი, ხოლო თქუენ ხედავთა ნათელსა?" ხოლო იგი[ნი] ეტყოდეს: "ბრწყინვალედ ვხედავთ ჩუენ ნათელსა მზისასა!" ჰრქუა მათ: "ევედრენით ზადენს და არმაზს, რათა გამინათლონ მე!" ხოლო ყოველნი იგი ერთობით კმობდეს სახელსა მათსა და არარად სარგებელ ეყო მას. მერმე მოეგო გონებასა და თქუა გულსა შინა თვსსა. "შეუვრდე ჯუარცუმულსა მას, რომელსა-იგი ქადაგებს უცხოი იგი დედაკაცი და ჰყოფს კურნებასა სახელითა მისითა". მაშინ კმა ყო და თქუა: "ღმერთო ნინოდსო! რომელი ხარ ღმერთი ჭემმარიტი, განმინათლე სიბნელე ესე ჩემ ზედა მდებარე და გამომიბრწყინვე მე ნათელი, რათა აღვიარო სახელი შენი წმიდაი და გადიდებდე [შენ!"]". ხოლო სახიერი იგი და კაცთ-მოყუარე ღმერთი, რომელი ბრძანებს მოქცევასა კაცთა ცხორებისათვის, მცის მოფინა ნათელი და განანათლა ბნელი. [მაშინ] მეყსეულად აღიპყრნა კელნი აღმოსავალით, დაღატ-ყო და თქუა: "ჭემმარიტად, შენ ხარ ღმერთი ჭემმარიტი და შენ ხარ ღმერთი ღმერთთაი და უფალი უფლებათაი, რომელმან შეჰქმნენ ცანი და ქუეყანაი, და შენ აღვიარებ და შენ თაყუანის-გცემ, რომელმან მიჰსენ ჭირისა ამისგან, და მრწამს, რამეთუ გინებს ჰსნაი ჩემი, და ამიერითგან თაყუანის-ვსცემ პატიოსანსა ჯუარსა შენსა". და უბრძანა ყოველსავე ერსა, რათა მიიღონ ქვაი და კელითა თვსითა შექმნა ადგილსა მას, სადა-იგი პოა ნათელი, ეგუტერი მცირე, ჯუარის სახეი, და ვიდრე აქამომდე ჩანს ნაქმარი იგი. ხოლო სამხრით კერძო ადგილისა მის სიახლესა შენ არს ეკლესიაი სახელსა ზედა მთავარ-მოწამისა გიორგისსა. და შემდგომად ამისსა წარვიდა აღვსებული სიხარულითა და შემკული ქრისტეს სარწმუნოებითა და

წინაწარავლინა მახარებელი საქმისა მისთვის.

XIII. და ვითარცა მიეახლა ქალაქსა მას სამეუფოსა, წინა

მოეგებვოდა ერი ყოველი და თვთ დედოფალიცა ნანა და ერთბამად ყოველნი აღიდებდეს ღმერთსა. და ვითარცა შევიდა მეფე პალატად, თქუა: "სადა არს უცხოი იგი დედაკაცი, დედაი ჩემი, რამეთუ ღმერთსა, რომელსა-იგი ქადაგებს, იგი არს ჭემმარიტი მცხნელი ჩემი!" და ღირსისა მის ნინოძს მიმართ მიისწრაფდა, და ჯმოზდა და იტყოდა: "მრწამს ამიერითგან, მოციქულო ჭემმარიტისა ღმრთისაო, [რამეთუ] იგი არს ჭემმარიტი ღმერთი და უფალი, რომელსა-იგი შენ ჰქადაგებ და მას ვესავ და მას თაყუანის-ვსცემ". და ევედრებოდა, რათა გამ[ო]უსახოს სახე ეკლესიისა. მაშინ ახალმან ბესელიელ და მის-მიერისა მადლისა წარმომჩინებელმან სახე ეკლესიისა დაუსახა და აღაშენეს საღმრთოდ ტაძარი სახელსა ზედა წმიდისა ღმრთისმშობელისასა. და კუალად უბრძანა მეფემან აღშენებად სხუად ტაძარი შორის სამოთხესა მას, სადა-იგი მდგომარე იყო ხე იგი კვპაროზი სურნელი და ქუეშე ყუავილოვანი. და ვითარცა შურებოდა ყოველი იგი ერი მოსწრაფედ, უბრძანა მოკუეთად მეფემან ხე იგი კვპაროზი, რათა შექმნან იგი სუეტად ტაძრისა მის. ხოლო აქან მელოდენ სიტყუად ესე და თქუენ ისმინეთ საწადელი ესე თხრობად.

XIV. რაჟამს-იგი ინება ღმერთმან ჯსნად კაცთა ნათესავისად, გარდამოავლინა ძე და სიტყუად თვისი და ჯორცნი შეიმოსნა წმიდისაგან ქალწულისა და კაცთა თანა იქცეოდა ჟამთა ოცდა ცამეტისა წლისათა. და აღასრულებდა ნიშთა და სასწაულთა ბუნებათა უვალრესთა. ხოლო ჰურიათა ნათესავნი, მღდელნი და მწიგნობარნი, შურითა განიხერხებოდეს. ხოლო იყვნეს მას ჟამსა მცხეთასცა შინა სამღდელონი ტომნი ჰურიანი და პასექსა მას წლითი-წლად აღვიდიან იერუსალიმს სიტყვს-ყოფად და დამტკიცებად სჯულსა მოსესსა, რათა არა დაიჯსნას იგი. და ოდეს-იგი ენება ჯუარითა ვნებად შემოქმედსა მას ყოველთასა, მას ჟამსა უმეტეს აღაბორგნა

ემმაკმან ჰურიანი და მიუწერეს მცხეთელთა მათ იერუსალიმით, ვითარმედ: "კაცისა მის მიერ, რომელსა ჰრქვან იესუ, განქარდა სჯული მოსესი და დაიქსნეს ყოველნი წესნი ჩუენნი და ესე კაცი, რომელი აღდგომილ არს, მოვედით და შეგუეწიენით, რათა შური ვიძიოთ მას ზედა და რათა სჯული მამათა ჩუენთად დავიცვათ და დავამტკიცოთ". მაშინ სჯულის მეცნიერთა მათ გამოირჩიეს ელიოზ, კაცი ბრძენი და მეცნიერი, და წარგზავნეს იერუსალიმს. ხოლო დედად ელიოზისი [იყო] მოხუცებული, და ფრიად ბრძენი და გონიერი. და იყო ასული მისი, დად ელიოზისი, ქალწული და შემკული ღმრთის მოშიშებითა. და წარ-რად-ვიდოდა ელიოზ, მოიკითხა დედამან მისმან და ჰრქუა: "შვილო, აჰა ესერა წარხუალ წოდებასა მას, რომელსა ზრახვენ მღდელთმოდლუარნი და ფარისევლნი კაცისა მისთვის მართლისა, ნუმცა შერთულ ხარ მათ თანა, რამეთუ იგი არს მოსწავებული წინადაწარმეტყუელთად. და იგი არს წარმართთა ცხორებად საუკუნოდ". და კუალად დად იგი მისი ვითარცა მისცემდა მოკითხვასა, ჰრქუა: "ძმაო სასურველო! ღირს იქმნები შენ ხილვასა კაცისა მის მართლისასა, რომელსა ჰრქვან იესუ, და ნეტარ ხარ შენ და გვედრები მე, რათა რასაცა შეხებულ იყვნენ კელნი მისნი წმიდანნი, ანუ თუ სამოსელთა მისთა შეხებულ იყვნენ, უკუეთუ მოიტანო, ნეტარ ვიყვნეთ". ესე რად ჰრქუა მას, წარვიდა. და ვითარცა მიიწია იერუსალიმს, შეკრებულ იყო ერი ჰურიათად და დაემტკიცა ჯუარცუმად ქრისტესი. ხოლო არასადა ეზიარა განზრახვასა მათსა, არამედ შორს დგა იგი და მისთანანი იგი. და მივიდეს იგინი ხილვად იესუმსა, ვითარცა-იგი წერილ არს სახარებასა შინა, ვითარმედ: "იყვნეს ვინმე წარმართთაგანნიცა, რომელნი აღმოსრულ იყვნეს იერუსალიმად დღესასწაულსა მას. ესენი მოვიდეს ფილიპესსა, რომელი იყო ბედსაიდადთ გალილიისადთ და ეტყოდეს [მას]: „უფალო, გუნებავს იესუმსა ხილვად".

მოვიდა ფილიპე და ჰრქუა ანდრიას”. ესენი იყვნეს ელიოზ და მისთანანი წარმართთაგან მოსრულნი. ხოლო ვითარცა აღესრულა ნეფსით ვნებად მაცხოვრისად, მიხუდა წილითა კუართი უფლისა ჩუენისად ელიოზს, ვითარცა წერილ არს: ”განიყუეს სამოსელი ჩემი და კუართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი”. ხოლო მას ჟამსა ჯუარცუმისასა, ოდეს ნუსმარსა ჰკრა კუერი მტარვალმან ჰელთა ზედა უფლისათა, ჟამსა მას მიიწია ყურთა ელიოზის დედისათა და ჰმა ყო ძლიერად აღძრულმან სულისაგან და თქუა: ”ამიერთგან მშვდობად შენდა მეფობაო ჰურიათაო, რამეთუ მოჰკალთ უფალი მოსრული მაცხოვრად და იქმნენით მტერ შემოქმედისა”. და ამას ზედა შეისუენა მასვე ჟამსა. არა თუ იყოლა მაშინ მეფობად ჰურიათად, გარნა წარწყმედასა მათსა მოასწავებდა, ვითარცა წერილ არს: ”აჰა ესერა დაუტევნეთ სახლნი თქუენნი ოჯრადო”. ამისსა შემდგომად წარმოვიდა ელიოზ იერუსალიმით სახედ თჳსად და დაა იგი მისი მიეგება და მოეხჳა ქედსა. ხოლო ელიოზ გამოილო კუართი იგი საუფლოდ და მისცა მას და ჰრქუა: ”აჰა, რომლისა-იგი გსუროდა, მიილე კუართი მისი”. ხოლო ვითარცა მიილო დედაკაცმან მან კუართი იგი უფლისად, რამეთუ შეკეცილ იყო იგი, დაიმთხჳა რა პირსა და დაიდვა მკერდსა და ჰმა ყო ცრემლითა და აღმოუტევა სული. მაშინ აღიძრნეს ერნი უცხოსა მას ზედა სასწაულსა და იქმნა შფოთი დიდი და ამცნეს მეფესა მის ჟამისასა ადრეკის. ხოლო მას ენება, რათა გამოულოს კუართი იგი. ხოლო დაჰქსნა იგი ზარმან მის მკუდრისამან, რამეთუ მაგრად ეჰყრა იგი მკერდსა ზედა. ხოლო ელიოზ, შიშითა შეჰყრობილმან, დაა იგი საყუარელი და წმიდად კუართითურთ დაჰკრძალა მიწასა შინა. და მეყსეულად აღმოჯდეს მის ზედა ხენი იგი კჳპაროზნი და აღმოეცენა ხესა მას ქუეშე ყუავილი მრავალფერი და სურნელი. ხოლო აწ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ.

XV. ვითარცა მოჰკუეთეს ხე იგი კჳპაროზი, გამოსცა სულნელებად მიუთხრობელი, და შეჰმზადეს სუეტად,

ვითარცა ბრძანებულ იყო მეფისა მიერ. და ენება აღმართებად არა მასვე ადგილსა, სადა-იგი მოეკუეთა, არამედ სხუასა, ერთ კერძოსა ტაძრისასა. და მოვიდა მეფე და ყოველი ერი და ფრიადითა ღონისა-მიებითა ჳლყვეს აღმართებად მისი და ვერ შეუძლეს, რამეთუ საღმრთოდ ძალი აყენებდა. და მოიწია ღამე და წარვიდა მეფე და ყოველი ერი განკვრეებულნი. ხოლო ნეტარი ნინო დგა მას ღამესა მახლობელად სუეტისა მის და ილოცვიდა. და იხილა ჭაბუკი ერთი ნათლითა შემოსილი. და ნინოდსვე გუერდით დგეს შროშანა და სიდონია, და იხილეს მათცა და ეტყოდა ნინოს: "რად არს ხილვად ესე?" ხოლო მან ჳელთ განუხარა და უბრძანა განშორებად. და კაცმან მან ნათლით-შემოსილმან აღჳმართა ძელი იგი აღმართებით ადგილსა მას, სადა იგი მდგომარე იყო. და ორ კაც ოდენ სიმაღლესა დადგა იგი და გამოსცემდა ბრწყინვალებასა, და ფრიადსა სულნელებასა. და ვითარცა იქმნა ცისკარი, გამოვიდა მეფე ჳირვეული სუეტისა მისთვის და მოეახლა ადგილსა მას და ეყნოსა სული სულნელებისად მიუთხრობელი. და იხილა ხილვად საშინელი და ელვარებად ბრწყინვალე და სუეტი იგი მაღლად ზე მდგომარე, და იწყო შემოკრებად ერისა სიმრავლემან და ყოველი ქალაქი და თვთ მეფე და დედოფალი ცრემლითა ილტობოდეს. და ვითარ-იგი ხედვიდეს ყოველნი, სუეტი იგი ნათლით შემოსილი მცირე -მცირე მოვიდოდა და ძირთავე მისთა ზედა დაემყარა და შეეძერწა ყოვლითურთ შეუხებელად ჳელთაგან კაცთადასა. და აღივსნეს ყოველნი შიშითა და სიხარულითა და ერთჳმოებით ადიდებდეს ღმერთსა ნინოდსსა, და მიერთგან იქმნებოდეს ძალნი და სასწაულნი. მას ჟამსა იყო ვინმე ჳურიად შობითგან ბრმა; მოვიდა და შეეხო სუეტსა მას და აღეხილნეს თუალნი მისნი. და მოვიდა სარწმუნოებად ყოველთა სახლეულთა მისთა თანა. კუალად მთავრისა ვისმე წარმართისა ძე მრავალჟამ მდებარე იყო ცხედარსა ზედა, რომლისა ასონი უძრავ ქმნილ იყვნეს და დაჳსნილ ეშმაკისაგან. ესე მოილო დედამან მისმან წინაშე სუეტისა მის და ევედრებოდა ნეტარსა ნინოს, რათა ილოცოს ძესა მისსა ზედა და

განკურნოს. ხოლო მას შეეწყალა დედაკაცი იგი და დასდვა ჯელი სუეტსა მას და მუნითგან შეახო ყრმასა მას და რქუა მას: "გრწმენეს უფალი იესუ ქრისტე ღმერთად ჭემმარიტად, რათა განიკურნო გუემულებისაგან!" ხოლო ყრმა იგი ჯმოზდა: "მრწამს, წმიდაო ღმრთისაო". მაშინ უპყრა ჯელი და აღადგინა მრთელი და მისცა დედასა თვისსა. ხოლო მასვე ჟამსა შინა შიში დიდი დაეცა ყოველთა მათთჳს სასწაულთა, რომელნი იქმნებოდეს სუეტისა მისგან ბრწყინვალისა. მაშინ მეფემან შექმნა გარემოდს სუეტისა მის საბურველი და დაფარა ხედვისაგან. და ეგრეთ გარემესა მას შეემთხვენიან და განიკურნიან, ვითარითაცა ვინ შეპყრობილ იყვნინან უძლურებითა.

XVI. ხოლო პირველ ათისა წლისა მირიან მეფისა ყოველთა უფალმან წყალობა ყო ჰრომთა ზედა და ბერძენთა და ზეგარდამო წოდებითა გამოაჩინა მეფე მორწმუნე კონსტანტინე და დედაჲ მისი ელენე დედოფალი და ნათელ იღეს სახელსა ზედა ქრისტესსა ყოველნივე ერმან და პალატმან მისმან ამაღლებითგან უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა სამას მეთურამეტესა წელსა. და ამაღლდა რქად ქრისტეანეთაჲ ხოლო დიდმან და მოციქულთა სწორმან და მიმსგავსებულმან კოსტანტინე, დიდად ილუაწა და წარავლინა დედაჲ თვისი იერუსალიმად ძიებად პატიოსნისა ჯუარისა, რომელიცა პოა მან ჯერჩინებითა ღმრთისაჲთა და აღაშენნა წმიდანი ტაძარნი საუფლონი. ხოლო მას ჟამსა შინა, ოდეს იგი პატიოსანი ჯუარი აღმოგვიბრწყინა ქრისტემან ღმერთმან თვისითა მადლითა დედოფლისა ელენეს მიერ მ[ო]პოებით, მსგავსადვე მისსა ამას ჟამსა მცხეთას თვისი დაფარული წმიდაჲ სამოსელი გამოაბრწყინვა, რომელსა ზედა სუეტი ნათლისაჲ იხილვებოდა და კურნებანი მრავალნი იქმნებოდეს. და ჰრომთა და ბერძენთა ზედა იქმნა მეფე მორწმუნე კოსტანტინე. ეგრეთვე მასვე ჟამსამეფე იქმნა ზეგარდამო განსწავლული კეთილად და სათნოდ ღმრთისა მორწმუნე მეფე მირიან. მაშინ, ვითარცა განსრულდა შენებაჲ ეკლესიათაჲ და

არღარად იყო ნაკლულოვანებად, გარნა ხოლო მღდელნი, <და> წარავლინნა მოციქულნი საბერძნეთის[ა] მეფისა მიმართ, და ითხოვნა სჯულისმდებელნი. ხოლო ვითარცა მიიწივნეს მოციქულნი იგი, განიხარა კოსტანტინე მეფემან და მრავლითა პატივითა პატივ-სცა და წარაყოლა მათ თანა ევსტათი ანტიოქელი პატრიაქი, კაცი ყოვლითა სიბრძნითა სავსე, რომელმან ნიკიისა კრებასა დაამტკიცა მართალი სარწმუნოებად. ხოლო ვითარცა მიიწია პატრიაქი სანახებთა ქართლისათა და თანა ჰყვა ძელი ცხორებისად და ხატი უფლისად და ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისა[ღ], მოეგება მას მეფე და ყოველნივე ერნი და მთავარნი მისნი, და დიდითა პატივითა აღიყვანეს პალატად, და მიიღეს კურთხევად მეფემან და დედოფალმან და ყოველმან ერმან. და წმიდასა ნინოს მიუძღუნა ნეტარებად. და მისცა წიგნი ელენე დედოფლისად, მიწერილი მისდამი პატივით. და ხვალისა დღე მოუწოდეს მეფემან და წმიდა[მან] ნინო პატრიაქსა და სამღუდელოთა, და ნათელ-ილო მეფემან და დედოფალმან და ყოველთა მთავართა და ყოველმან ერმან, და აკურთხნა ეკლესიანი და დაამყარნა საკურთხეველნი და ყო სატფურებად და დაასხნა კელნი მთავარ-ეპისკოპოსად ღირსსა იოვანეს, და ასწავა სჯული მეფესა და ყოველსა ერსა. ხოლო მკვდრ იყვნეს მცხეთას შინა მრავალნი სულნი ჰურიანი, რომელთა მღდელომთავრად იყო მაშინ აბიათარ, რომელი ზემო ვაკსენეთ. და მიიყვანა იგი წინაშე პატრიაქისა მეფემან და ჰრქუა: “ჴ აბიათარ! ღმერთმან გვკნსნა წმიდისა ნინოდს მიერ კერპთა. მონებისა და საცთურთა მათთაგან, და ნათელ გვღებიეს კელითა პატრიაქისადთა სახელსა ზედა უფლისა იესუ ქრისტჳსა. აწ რად გნებავს თქუენ, ჰურიანო!” მაშინ მიუგო აბიათარ და ჰრქუა: “მეფეო, ვითარცა უწყიან მთავართა შენთა და ყოველმან ამან ქალაქმან, ნათესავნი ვართ ბენიამენისნი, და სჯულსა მოსესსა სწავლულ, და ფრიად წურთილ წერილთა წინადაწარმეტყუელთასა და მეცნიერ ყოველსა მათ მიერ. ქადაგებულსა. და ყოველნი იგი ამისთვის წამებდეს, ვითარმედ შეცვალებად იყო

სჯული ესე ჩუენი და მოსლვად ღმერთი ქუეყანად. და მსგავსებად კაცთა და ნათლისღებად და ჯუარცუმად და სამარესა დადებად და აღდგომად მესამესა დღესა. ხოლო მამათა მათ ჩუენტა განარისხეს შემოქმედი და გამოაჯუნეს თავნი მათნი წყალობისაგან ღმრთისა, და სხუათა დაიპყრეს მეფობად ჩუენი, რათა ჩუენ ვიყვნეთ განბნეულ და მონებასა ქუეშე. ხოლო მე მივემთხვე ებისტოლესა ნათესავისა ჩემისასა პირველსა, რომელი-იგი შეუდგა მოციქულად ქრისტესა, და გულისწმა ვყავ მით სჯულისა ჩუენისა განქარვებად, გარნა არვინ იყო მსწავლელ ჩუენდა. და აწ ოდეს ინება ღმერთმან და მოავლინა ქუეყანასა ამას მოციქულად ნეტარი ნინო, და ვიხილენ სასწაულნი უაღრესნი ბუნების[ა]ნი, რომელთა თქუენცა მეცნიერ ხართ, მეფეო, და შეუდგა მას ასული ჩემი, და აწ მეცა მზა ვარ ნათლისღებად სახელსა ზედა სამეზისასა”. და ვითარცა ესე ყოველი წარმოთქუა, განიხარა მეფემან და ნათელ-სცა პატრიაქმან აბიათარს და ყოველსა ნათესავსა მისსა, და მისცა მეფემან დაბად, რომელსა ეწოდების ციხედიდი, და იყო საყუარელ წინაშე მისსა. ხოლო სხუანი ჰურიანი, რომელთა არა ნათელ იღეს, განიბნივნეს მცხეთით და წარვიდეს. ხოლო ევსტათი პატრიაქმან დაამტკიცა მართლმადიდებლობად და ასწავა წესი ეკლესიათად, და იჯმნა მეფისაგან და წარემართა ქუეყანად თვსად. ხოლო მეფემან და სჯნკლიტიკოსთა მისთა მისცეს ასი სოფელი მოსასყიდელად წმიდისა მიჰრონისა.

XVII. ხოლო ამისსა შემდგომად აღვიდა წმიდად ნინო მთასა მას, რომელი არს პირისპირ მცხეთასა, რომელსა ზედა დღეს შჴნ არს ჯუარი პატიოსანი, და მუნ ილოცვიდა და ევედრებოდა ღმერთსა. და ძირსა მის მთისასა წყალი აღმოაცენა და იქმნეს სასწაულნი და კურნებანი მრავალნი წყლისა მისგან. ხოლო ხე მთისა მის, რომელი განბრწყინდა ნათლისა მისგან, შექმნეს ჯუარებად. მაშინ იხილ[ვ]ა სასწაული ესე ყოველთაგან მათ ერთ[ა] ქალაქისათა - გამოსჩნდის ჯუარი ცეცხლისად, შემოსილი ვარსკულავებითა, და ვიდრე ცისკრისა

მოწევნადმდე დგის ზედა კერძო სუეტისა-ცხოველისა, და შემდგომად ცისკრისა განუტევნის ელვანი და წარვიდის ერთი აღმოსავალით და ერთი დასავალით, და ერთი იგი დაჯდის თავსა თხოთისასა, და ერთი იგი მიიწეოდის ბოდეს. ჯუარის სახე იგი დადგის წიაღ არაგუსა თავსა მის მთისასა, სადა-იგი წმიდამან ნინო წყაროდ აღმოაცენა. და ესე მრავალგზის იქმნა. და განკვრდა მეფე და ყოველი ერი. და აღაშენა მეფემან ერთი ეკლესიაჲ თავსა მის მთისასა, სადა ჯუარი იგი დადგის, და ერთისაჲ თხოთს, და დაასუენნეს ჯუარნი იგი: ერთი ჯუარს და ერთი თხოთს და ერთი ბოდეს. ხოლო ჯუარი იგი ვაზისაჲ, რომელ მიიღო წმიდამან ნინო კელისაგან ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისა, არს ჯუარსა მას შინა, რომელ დაასუენნეს ჯუარსა პატიოსანსა. ესე ჯუარნი განწესებისაებრ მეფისა წარიყვანნა ღირსმან იაკობ, ფრიადითა სიმრავლითა ერისაჲთა და საკუმეველითა სულნელებითა, და დაასუენნ ადგილთა მათ. ხოლო სუეტსა მას წინაშე ცხოველსა აღესრულებოდეს სასწაულნი მრავალნი და არავინ იკადრებდა კართა განხუმად თვნიერ კვრიაკისა. ხოლო კვრიაკესა განახუნიან და მღდელთა შეწირიან საღმრთოდ მსხუერპლი და სნეულნი განიკურნებოდინ ურიცხუნი და ერი პირის-პირ მდგომარენი დგეს გარეშე და დიდ დიდი ზარი და ჳმანი დაღადებისანი აქუნდეს და ევედრებოდეს ღმერთსა. კუალად ბრძანა მეფემან, რათა ერთი ეკლესიაჲ აღაშენონ ერუშეთს, სადა-იგი არს ფიცარი ფერჯთა უფლისათაჲ, და ერთი ეკლესიაჲ მანგლის, რამეთუ არს მუნ სამსჭუალი უფლისაჲ. ესრეთ წარემართებოდა მეფე სარწმუნოებითა და გლახაკთ-მოწყალებითა და მღდელნი და მღდელთ- მთავარნი განმრავლდებოდეს.

XVIII. ხოლო ნეტარმან ნინო იწყო ქადაგებად და თანაწარიტანა იაკობ მღდელი და დიაკონი და ერთი ერის- მთავარი ერთიურთ მისით და დადგა წობენს. და

მოუწოდა მთელთა, ქართლელთა და ფხოვნელთა და უქადაგა სარწმუნოებად ჭემმარიტი. ხოლო იგინი ლმობიერ იქმნნეს და ნათელ იღეს, და დაღეწნეს საკერპონი და აღაშენნეს ეკლესიანი. და ამისა შემდგომად წარვიდა ერწოს და ჟალეთს და მოიყვანა იგინიცა სარწმუნოებად, და ნათელ იღეს მათცა. და მერმე ჩავიდა კახეთს და დადგა კაწარეთს და მოაქცივნა იგინიცა. მერმე გარდავიდა ქუჭლდაბას და მოუწოდა მთავართა კახეთისათა; ხოლო მათდა პირველვე უწყებულ იყო სარწმუნოებად ქრისტესი და ნათლისღებად მეფისად და სიხარულით შეიწყნარეს სწავლად მისი და მოიქცეს და ნათელ იღეს ჳელითა მისვე იაკობ მღდლისადთა, და მუნით მივიდა ბუდეს. და მოვიდა მისსა დედოფალი კახეთისად სუჯი და მის თანა მთავარნი და მჳედრები და მონამჳევალთა სიმრავლე. და წარმოუთხრნა მას ქრისტეს საიდუმლომსა განგებულეზანი და ასწავა სიტყვთა ტკბილითა სარწმუნოებად ჭემმარიტი და სასწაულნი იგი აუწყნა, რომელნი-იგი იქმნა ქალაქსა შინა მცხეთას სუეტისა ცხოველისა. ხოლო მათდა წინამსწარ უწყებულ იყო ყოველი. ხოლო მათ სიხარულით შეიწყნარეს სწავლად ნინოჲსი და ნათელ-იღო დედოფალმან და ყოველთ მთავართა და მჳევალთა მისთა.

XIX. და ვითარცა ესრეთ სრულ ყო ქადაგებად მისი ნეტარმან ნინო, და სრულ ყო ღუაწლი თჳსი, ეუწყა სულისა მიერ წმიდისა განსლვად მისი ჳორცთაგან და მიწერა წიგნი მეფისა და მისცა დედოფალსა კახეთისასა სუჯის, რომელსა წერილ იყო ესრეთ: "იესუმს ქრისტეს მონასა ერთგულსა და აღმასრულებელსა წმიდისა სამეზისასა და თანა შეერთებულსა წმიდათა მეფეთასა მეფესა მირიანს! გარდამოგივლინოს ღმერთმან ცუარი წყალობისად ზეცით და ყოველსა პალატ-ბანაკსა ერისა შენისასა, და იყავნ მფარველ თქუენდა ჳუარი ქრისტჳსი და მეოხებად ყოვლად წმიდისა დედისა მისისად. რამეთუ აჳა მე ესერა მოვლე ზოგი რადმე ამის ქუეყანისად და შეიწყნარეს ქადაგებად ქრისტესი და მოიქცეს და ნათელ- იღეს და თაყუანი-სცეს დამბადებელსა ყოველთა და

შენდა ჯერ-არს სიხარული, რამეთუ დღეთა შენთა შინა მოხედნა ღმერთმან თვსთა დაბადებულთა და აღმოუბრწყინვა ნათელი თვისისა მეცნიერებისად. აწ დაიცევით მართალი სარწმუნოებაჲ ქრისტესი, რათა მის თანა სუფევდეთ საუკუნოდ სასუფეველსა ცათასა. რამეთუ მე აჰა ესერა, ვითარცა ერთი სოფლად შემოსრული, განვალ ცხორებისაგან და წარვალ გზასა მამათა ჩუენთასა; ვსენებულმცა არს საუკუნოდ კეთილთა შინა ღმრთისათა დედოფალი სუჯი, რამეთუ მოვიდა ჭემმარიტსა ქრისტეს სარწმუნოებასა და დამუსრნა კერპნი და მოუძღვა და მოიყვანნა ერნი ღმრთისანი ღმრთის მსახურებად, და მოუწოდა ძმასა და ასულსა მისსა, და კუალად არტერეონ მთავარსა და ასწავა მართალი სარწმუნოებაჲ, და ყოველთა ბუდეს შინა ნათელ-იღეს სახელითა მამისა და ძისა და წმიდისა სულისაჲთა. აწ წარმოგზავნეთ ჩემდა წმიდაჲ მამათ-მთავარი, რათა მომცეს საგზალი სულისაჲ საუკუნოდ, რამეთუ მოახლებულ არს აღსასრული ჩემი”. და მიიღო რაჲ წიგნი იგი ნინოჲსი დედოფალმან სუჯი, სურვილითა აღძრული თაყუანისცემისათვის სუეტისა ცხოველისა, თვთ მოსწრაფედ წარემართა, რათა იხილოს და თაყუანის-სცეს ცხოველსა სუეტსა და ჯუარსა ცხოველსა და ყოველსა მას სიშორესა გზისასა ფრჳივ ვიდოდა უკამური და ცრემლითა დაალტობდა ქუეყანასა. და ვითარცა მოიწივნეს პირის-პირ სუეტისა ცხოველისა, იხილეს, რამეთუ წყალი იგი არაგვ უმეტეს ზომისა დიოდა, რომელი ვერვინ მკედართაგანმან წიაღვლო. არამედ რომელნიცა შთავიდიან, გარევე უკუნ იქციან დაყენებულნი სიმძაფრისაგან წყლისა მისგან დიდისა. ხოლო ვითარცა იგი პეტრე მიმავალი უფლისა წყალთა ზედა ვიდოდა, ეგრეთვე ამან დედაკაცმან, სავსემან სარწმუნოებითა ქრისტესითა და სურვილითა სუეტისა ცხოველისაჲთა, მინდობილმან სარწმუნოებასა მას მარცუალსა მდოგვსასა, აღიბეჭდა თავი თვისი ჯუარითა ქრისტესითა და აღჴდა ჰუნესა. ხოლო ხედვიდეს იმიერ კერძო მთავარ-ეპისკოპოზი იოვანე და ყოველი ერი. და ვითარცა შევიდა წყალთა მათ შინა, მართლ უკუნ იქცა

ამიერ და იმიერ წყალი იგი, ხოლო იგი განვიდა მშვიდობით. მაშინ მოეგება მას მეფე და მთავარ-ეპისკოპოზი, ყოველნი ერნი შეპყრობილნი შიშითა და საკვრველებითა და შევიდეს ეკლესიად წინაშე სუეტისა ცხოველისა და ილოცა ცრემლითა მჭურვალთა და შეწირა თავი თვისი შვილითურთ და ყოველი მონაგები თვისი და ქალაქიცა იგი მცირე ბართანი და დაბად დიდი ბუდისი და იხარებდა სულითა. მაშინ გამოიღო წიგნი იგი ნეტარისა ნინოდსი და მისცა მეფესა. და წარიკითხა რად იგი [მეფემან], აღივსო ცრემლითა და აღდგა და თანაწარიტანა მთავარ-ეპისკოპოზი და დედოფალიცა ნანა. და ვითარცა მიიწივნეს და მოიკითხეს, მან მისცა მათ კურთხევად უფლისა-მიერი. ხოლო წმიდად ნინო შეპყრობილ იყო სნეულებითა და უბრძანა იოვანეს წირვად ჟამისად. ხოლო მან შეწირა მსხუერპლი უფლისა და აზიარა ჯორცსა და სისხლსა ქრისტესსა, რომელი-იგი წარიძლუნა მან საგზლად საუკუნოდ. და შეჰვედრა სული თვისი ჯელთა ღმრთისათა და წარვიდა საუკუნეთა კეთილთა. ესრეთ შემკული მოციქულობისა მადლითა და ბრწყინვალე ქალწულებითა და განშუენებული სიმრავლითა ღუაწლთაჲთა და აღტვრთული ტალანტთა სიმრავლითა, წარმოუდგა წმიდასა სამებასა და მართუნა ძღუნად სიმრავლენი ერთანი და ღუაწლთა მიერ განკაფული სოფლისა ამისგან სუფევად საუკუნოდ აღვიდა ოცდამეათხუთმეტესა წელსა ქართლს შემოსლვასა მისისასა. ხოლო დასაბამითგანთა წელთა ხუთიათას რვაას ორმეოცდა მეთუთხმეტესა. მაშინ მოვიდა მეფე და ყოველი ერის[ა] სიმრავლე გუამისა მიმართ მისისა დავრდომით და გოდებით, შიშით და ძრწოლით შეუვრდებოდეს. და სიმრავლისაგან ერნი დათრგუნვიდეს ფერჯითა ურთიერთ[ა]ს და სნეულნი განიკურნებოდეს, რომელნი შეეხნეს ფესუსა სამოსლისა მისისასა. ხოლო მეფემან ძლითა დააცხრო შფოთი იგი ერისად და განიზრახა, რათა გუამი მისი აღიყვანოს და დაჰკრძალოს მახლობელად სუეტისა-ცხოველისა. და ვითარცა ჯელ ყვიან აღებად გუამისა მის წმიდისა, ჯელნი მათნი უქმ იქმნიან და ყოვლად ვერ უძლიან შეძრვად.

მაშინ გულისწმა-ყვეს და დაჰკრძალეს მასვე დაბასა შინა ბუდეს და ეკლესიად აღუშენეს და ეპისკოპოზი განაჩინეს მას ზედა. ესრეთ პატივით და კრძალულებით პატივ-სცეს წმიდასა და ნეტარსა მოციქულსა და განმანათლებელსა ქართლისასა, კახეთისა და ჰერეთისასა, სამგზის სანატრელსა ღმრთივდიდებულსა ნინოს. ხოლო შემდგომად წმიდისა ნინოდს ცხორებად საუკუნოდ მისლვისა მეფემან კეთილად წარჰმართა ღმრთის-მსახურებად და იქცეოდა სიმდაბლითა, სიმშვიდითა, გლახაკთ მოწყალებითა, და მღდელთა პატივ-სცემდა და ეკლესიათა აშენებდა. და ესრეთ სათნოდ ღმრთისა მიიღვა და დაჰმარხეს მის მიერ აღშენებულსა ეკლესიასა სამთავროს. შემდგომად მისსა ძემან მისმან რევ მიიღო მეფობად და მანცა ყოვლითა მოშიშებითა აღასრულა მეფობად მისი და იგიცა წარვიდა კუალსა მამათა მისთასა, შემკული ღმრთისა სათნოებითა.